სოფიო გორგოძე მანანა გოჭორიშვილი
ნინო ჭიაბრიშვილი ქეთევან ჭიაბრიშვილი
გიორგი გახელაძე

ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება



OPEN SOCIETY INSTITUTE
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

სოფიო გორგოძე მანანა ბოჭორიშვილი
ნინო ჭიაბრიშვილი ქეთევან ჭიაბრიშვილი
გიორგი გახელაძე

ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

თბილისი 2013

პროექტი „ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს„ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

Project „New Opportunities for Educationally Deprived Children“ was made possible by the support of European Union and Open Society Institute. Project is implementing by the Civic development Institute, Association „Zekari“ and Marneuli Youth Center.

The contents of this publication do not necessarily reflect the views of European Union and Open Society Institute

ავტორები: **სოფიო გორგოძე; მანანა ბოჭორიშვილი; ნინო ჭიაბრიშვილი; ქეთევან ჭიაბრიშვილი; გიორგი გახელაძე**

რეცენზენტი: **სიმონ ჯანაშია**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე წიქარიშვილი**

საკონსულტაციო საბჭო
ანთაძე ია
ბოჭორიშვილი მანანა
გორგოძე სოფიო
მოსიაშვილი თამარ

წიგნის შექმნაში განსაკუთებული წვლილი შეიტანეს სამოქალაქო განვითრების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განათლების ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს განათლების მეორე შანსის ქართული მოდელი.
იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ:
ბაქრაძე მაია
თოფაძე ქეთევან
კობალაძე ქეთევან
კორძაძე ეკატერინე
პაპავა პაატა
სამსონია ირინა
ჭანტურია თამარ

დაიბეჭდა გამომცემლობა მწიგნობარი
თბილისი, 2013

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013

ISBN 978-9941-0-5319-1

სარჩევი

ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება 5

(სოფიო გორგოძე)

შესავალი 7

რატომ არის საჭირო კრიტიკული აზროვნება? 8

რას გულისხმობს კრიტიკული აზროვნება? 10

კრიტიკული აზროვნება როგორც დამოკიდებულება. 12

როდის არის საჭირო კრიტიკული აზროვნება? 13

რა არის არგუმენტი 14

როგორია კარგი არგუმენტი 17

დედუქცია და ინდუქცია 25

როგორ იცვლება მასწავლებლის როლი 31

მასწავლებლების შექმნილი აქტივობები 37

როგორ შევქმნათ კრიტიკულად მოაზროვნე სკოლა 58

გამოყენებული ლიტერატურა 60

კრეატიულობის ოქროს წესი 63

(მანანა ბოჭორიშვილი)

პრაქტიკული სამუშაო 67

გამოყენებული ლიტერატურა 84

ინტერესის როლი სამოქალაქო განათლების სწავლებისას 85

(ნინო ჭიაბრიშვილი; ქეთევან ჭიაბრიშვილი; გიორგი გახელაძე)

გამოყენებული ლიტერატურა 101

ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება
გზამკვლევი მასწავლებლებისათვის

ეს გზამკვლევი განკუთვნილია იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც სურთ მოსწავლეებში განავითარონ XXI საუკუნის უმნიშვნელოვანესი უნარი-კრიტიკული აზროვნება. მისი გამოყენება ასევე შეუძლიათ მასწავლებელთა ტრენერებს და იმ მკითხველებს, რომლებიც დაინტერესებული არიან თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებით.

გზამკვლევი მიზნად ისახავს ვისწავლოთ და ვასწავლოთ, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ და დავასაბუთოთ საკუთარი აზრები, რა საშუალებები გამოვიყენოთ, რათა შევძლოთ უკეთ გავაანალიზოთ საკუთარი, თანამოსაუბრისა თუ მედია-საშუალებებში მოსმენილი/წაკითხული არგუმენტები და ჯეროვნად შევაფასოთ ისინი, არ შეგვიყვანოს შეცდომაში მიზანმიმართულად გაყალბებულმა თუ სუსტმა არგუმენტებმა, გადავჭრათ პრობლემები და მივიღოთ გადაწყვეტილებები.

კრიტიკული აზროვნების უნარების დაუფლება საშუალებას მოგვცემს შევიგრძნოთ ინტელექტუალური თავისუფლება . ეს თავისუფლება დაგვეხმარება მივიღოთ უკეთესი აკადემიური შედეგები, სიამოვნებით ვისწავლოთ, უკეთ დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება და უკეთ ვემსახუროთ საზოგადოებას. კრიტიკული აზროვნება მოგვცემს საშუალებას, რომ ვებრძოლოთ საზოგადოებაში არსებულ უსამართლობას. ხშირად ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი განათლება და კრიტიკული აზროვნების უნარი, გენდერულ, სოციალურ თუ სხვა სახის უთანასწორობას ცხოვრების უცვლელ ნაწილად აღიქვამენ იმის ნაცვლად, რომ დაფიქრდენ, რატომ არის საზოგადოება ამგვარად მოწყობილი და ხომ არ შეიძლება მისი შეცვლა, გაუმჯობესება. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება არის ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ ვიცხოვროთ უფრო სამართლიან და დემოკრატიულ საზოგადოებაში.

შესავალი

2011 წელს ლონდონში გამართულ საერთაშორისო ორატორული ხელოვნების კონკურსში, რომელსაც თავადაც ვესწრებოდი, 70-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის გაიმარჯვა ჩინელმა მოსწავლემ. შემფასებელმა კომისიამ ფინალურ კონკურსში მისი გამოსვლა ყველაზე აქტუალურად ჩათვალა.

16-20 წლის ახალგაზრდები ფართო აუდიტორიის წინაშე უნდა გამოსულიყვნენ სიტყვით თემაზე: ,,მხოლოდ სიტყვები არ კმარა". ეს გახლდათ ზოგადი თემა, გამომსვლელებს იგი სხვადასხვა მიმართულებით გაეშალათ, ზოგი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე გვარწმუნებდა, რამდენად მნიშვნელოვანია საქმე საუბართან შედარებით, ზოგიც შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებზე და მათი გამოხატვის საშუალებებზე საუბრობდა, სხვები უსიტყვო ხელოვნების მნიშვნელობაზე.

გამარჯვებული მოსწავლის სიტყვა ერთი შეხედვით საკმაოდ ბანალური იყო. გამოსვლა იმის მოყოლით დაიწყო, თუ როგორ უჩიჩინებდნენ მას პატარაობიდან, რომ მასწავლებელი უნდა გამოსულიყო ოჯახური ტრადიციებიდან გამომდინარე. ჩინელი სტუდენტის მთავარი სათქმელი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მშობლების სიტყვების უკან მყარი არგუმენტი არ იყო. იგი წინ აღუდგა ოჯახურ ტრადიციას და კარიერის სხვა გზით წარმართვა გადაწყვიტა. ამ ახალგაზრდამ გააანალიზა და შეაფასა ის ფაქტი, რომ მშობლების არგუმენტი, ოჯახური ტრადიციის გამო აერჩია პროფესია, გაუმართლებელი იყო.

თემა წარმოადგენდა კრიტიკული აზროვნების მარტივ მაგალითს: შვილმა გააანალიზა რომ მასწავლებლობა არ იყო მისი მოწოდება და მშობლები დაარწმუნა, რატომ არ უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება. წარუდგინა მათ შესაბამისი არგუმენტები და მიუხედავად წინააღმდეგობისა, მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

XXI საუკუნეში, კონკურსში, სადაც 70-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ამ ერთი შეხედვით მარტივი შინაარ-

სის გამოსვლის დიდი უპირატესობა კრიტიკული აზროვნების და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის აშკარა გამოვლინების შედეგი იყო. ამის შესახებ კონკურსის ბოლოს ჟიურის თავმჯდომარემაც მიუთითა.

***

რამდენიმე წლის წინ განათლების ერთმა საერთაშორისო ექსპერტმა მითხრა: ,,დღეს, თანამედროვე მსოფლიოში, ინგლისური ენა არ არის უცხო ენა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ იგი არის აუცილებელი უნარ-ჩვევა, ისევე როგორც წერა-კითხვა და ანგარიში. თუ ეს უნარ-ჩვევა არ გაგაჩნია, შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხარ." ამით მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სათანადო სწავლება სკოლაში, რათა ისინი წარმატებულები იყვნენ არა მარტო ქვეყნის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

ვფიქრობ, კრიტიკული აზროვნება კიდევ ერთი უნარ-ჩვევაა, რომელიც ისეთივე აუცილებელია, როგორც წერა-კითხვა, ანგარიში და მის განვითარებას ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც საბაზო უნარების განვითარებას, რომლის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სამუშაოს შესრულება და წარმატების მიღწევა. კრიტიკული აზროვნება ადამიანებს საშუალებას აძლევს ცხოვრებაში საკუთარი თავის რეალიზება მოახდინონ და თავისი წვლილი შეიტანონ უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

რატომ არის საჭირო კრიტიკული აზროვნება?

კალიფორნიაში არსებულმა მომავლის ინსტიტუტმა (IFTF), რომელიც 1968 წელს დაარსდა და რანდ კორპორაციის(Rand Corporation) შვილობილს წარმოადგენს, გამოაქვეყნა 10 ყველაზე მნიშვნელოვანი უნარის სია, რომელიც აუცილებელია 21-ე საუკუნეში წარმატების მისაღწევად.

ამ უნარებს შორის მოხვდა სოციალური ინტელექტი, ორიგინალური აზროვნება, ინტერკულტურული კომპეტენცია, მათემა-

ტიკური აზროვნება, მედია წიგნიერება დ.ა.შ.

პირველ ადგილს კი იკავებს ,,შესაძლებლობა ჩაწვდე სიტყვიერად, ან სხვაგვარად გამოხატული შინაარსის სიღრმისეულ მნიშვნელობას"(The Atlantic 2011, p.1), რაც, როგორც შემდეგაა განმარტებული, თავის თავში მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას.

ისეთ პირობებში, როცა ყველაფერი ავტომატიზირებული ხდება და კომპიუტერული ტექნოლოგიები სულ უფრო სწრაფი ტემპით ანაცვლებენ ადამიანის შრომას და საქმიანობას, წინა პლანზე მოდის ის უნარები, რასაც კომპიუტერი ვერ ანაცვლებს. სწორედ ასეთია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. შესაბამისად, სასკოლო დაწესებულებების მთავარი ამოცანა ამ უნარების განვითარება უნდა იყოს.

მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრება, ცოდნის მიღება და გადაცემა არ არის საკმარისი, რომ წარმატებას მიაღწიო თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. იმ ფონზე, როცა ინფორმაციის რაოდენობა სულ უფრო იზრდება და ცოდნა და ინფორმაცია მუდმივად განახლებადია, მნიშვნელოვანია შეგეძლოს კომპლექსური და აბსტრაქტი? იდეებისა და აზროვნების სისტემების გაგება, ინფორმაციის დახარისხება, მნიშვნელოვანის გამორჩევა, გაანალიზება, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება.

კრიტიკული აზროვნების საშუალებით ვზრდით ჩვენს ცოდნას და უფრო შემწყნარებლები ვხდებით განსხვავებული აზრის მიმართ. კრიტიკული აზროვნება გვეხმარება გადავწყვიტოთ რა გავაკეთოთ და რა არა, ზრდის ჩვენს ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას და გვეხმარება ვიყოთ ავტონომიურები (Hunter 2009).

ავტონომიურობაში არ იგულისხმება საკუთარი ნება-სურვილის დაუფიქრებლად მიყოლა. მაგალითად, სიგარეტის მწეველი, შესაძლოა ავტონომიურობას გრძნობს, რადგან სურვილის შემთხვევაში მოსწევს სიგარეტს, მაგრამ მას შეიძლება ერჩივნოს, არ გაუჩნდეს ეს სურვილი. ის არ არის ავტონომიური, თუ სურს და არ შეუძლია აკონტროლოს სიგარეტის მოწევის სურვილი (Murray and Kujundzic 2005).

რას გულისხმობს კრიტიკული აზროვნება?

კრიტიკული აზროვნების არაერთი განმარტება არსებობს. ყველა განმარტებას ერთი საერთო აქვს, მეცნიერების უმრავლესობა კრიტიკულ აზროვნებაზე საუბრისას ხაზს უსვამს მტკიცებულებისა და მისი განმამტკიცებელი არგუმენტის საფუძვლიან გამოკვლევასა და შეფასებას.

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი განმარტება ასეთია: ,,კრიტიკული აზროვნება არის საკუთარი და სხვების მოსაზრებების არგუმენტირებული შეფასება" (Bickenbach and Davies 1996, p.6). ანუ, ასეთი აზროვნების დროს მთავარია ის, რომ შეფასებისას ჩვენ გაგვაჩნია რაღაცის მხარდამჭერი, ან საწინააღმდეგო არგუმენტი.

სხვა განმარტებით, კრიტიკული აზროვნება მოიცავს ,,არგუმენტირებულ და გონივრულ აზროვნებას, რომელიც ადამიანს ეხმარება გაარკვიოს, რა უნდა ირწმუნოს, ან რა უნდა გააკეთოს" (Ennis 2011, p.1).

კრიტიკული აზროვნება მოიცავს ,,იდეებისა და ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას და შემდეგ მის შემოწმებას ჩვენი საკუთარი ფასეულობების, დამოკიდებულებებისა და პერსონალური ფილოსოფიის გათვალისწინებით "(Judge, Jones and McCreery 2009, p.2).

ხშირად კრიტიკულ აზროვნებას შეცდომით კრიტიკასთან აიგივებენ. სინამდვილეში, კრიტიკულ აზროვნებას არ აქვს უარყოფითი კონოტაცია. კრიტიკული არ ნიშნავს ცუდს, ცინიკურად ან სარკასტულად განწყობილს. კრიტიკული აზროვნება ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მიზანმიმართულად მხოლოდ უარყოფითის ძიებას.

საინტერესოა ამერიკაში საკმაოდ პოპულარული გამოცემის Washington Post-ის ჟურნალისტის აზრი კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით, რომელიც მის წარმატებულ კარიერას ისტორიის მასწავლებელს უმადლიდა. ჟურნალისტი თვლიდა, რომ მასწავლებელი კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში დაეხმარა, რადგან მოსწავლეებს ესსეების წერაში ავარჯიშებდა,

რომლებიც ძირითადად სახელმძღვანელოების კრიტიკას შეეხებოდა. ,,ის არის ადამიანი, რომელმაც მასწავლა როგორ უნდა გავხდე ოპოზიციონერი მესვეტე", წერდა ვაშინგტონ პოსტის ჟურნალისტი. სინამდვილეში ისტორიის მასწავლებელი ამგვარი ესსეების წერის წახალისებით არ უვითარებდა მათ კრიტიკულ აზროვნებას. ეს უბრალოდ ტრადიციული ავტორიტეტების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება იყო, რაც აუცილებლად არ გულისხმობს იმ სააზროვნო უნარებს, რაც კრიტიკული აზროვნებისთვისაა საჭირო (McMahon 2011).

კრიტიკული აზროვნებისათვის უმნიშვნელოვანესია არგუმენტირება, რაც არ ახასიათებს ზოგადად ყველა ტიპის აზროვნებას. კრიტიკული აზროვნება არ არის დაუფიქრებელი ქება და კრიტიკა, იგი მოსაზრებების თუ მტკიცებულებების კარგად არგუმენტირებული შეფასებაა. განმარტებებიდან ისიც ჩანს, რომ კრიტიკულ აზროვნებას გარკვეული შედეგი აქვს. ასეთი აზროვნების შედეგად რაიმე უნდა დაიჯერო, ან რაიმე უარყო, ან ირწმუნო და შესაბამისი სამოქმედო გეგმა დასახო.

ვინაიდან კრიტიკული აზროვნება მოიცავს სხვების საუბრის, ნამუშევრის, რწმენებისა თუ შეხედულებების განსჯას და შეფასებას, ხომ არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ,,ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება" ?

ამის გათვალისწინებით, ჯერომ ბიკენბახი (1996 p.6) სვამს ასეთ კითხვას: ,,არის თუ არა კრიტიკული აზროვნების ადგილი ლიბერალურ–დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ტოლერანტობას, პლურალიზმს, სიტყვისა და სინდისის თავისუფლებას ქადაგებს?" ამ კითხვაზე თავად სცემს დადებით პასუხს და ამბობს: „კრიტიკული აზროვნება არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიცაა, ვინაიდან შეფასებითი განცხადებებისა და განსჯის გარეშე ასეთი საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. თუ ,,გონივრულობის სტანდარტით" არ ვიხელმძღვანელებთ, ის აზრები წამოიწევს წინ, რომლებსაც ყველაზე აქტიური გამხმოვანებლები ჰყავს და ყველაზე კარგი ,,მარკეტ-

ინგი” აქვს, ამიტომ ლიბერალურ დემოკრატიას ყველაზე მეტად კრიტიკული აზროვნება შეეფერება.“(P. 6)

კრიტიკული აზროვნება, როგორც დამოკიდებულება

განათლების ექსპერტები ხშირად საუბრობენ, რომ კრიტიკული აზროვნება მოიცავს არა მარტო სწავლად უნარებს, არამედ დამოკიდებულებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანი კრიტიკულად მოაზროვნედ ჩაითვალოს. საკმარისი არ არის ვასწავლოთ მოსწავლეებს რა არის არგუმენტი, როგორ უნდა ავაგოთ იგი და როგორ გამოვიცნოთ როდის ცდილობენ ადამიანები სუსტი არგუმენტით შეცდომაში შეგვიყვანონ, თუ მოსწავლეებს არ ჩამოუყალიბდებათ შესაბამისი დამოკიდებულებები.

ედუარდ გლასერი(1941) მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. დამოკიდებულება/სურვილი გონივრულად განსაჯო საკუთარი გამოცდილების არეალში არსებული პრობლემები
2. ლოგიკური ჩაკითხვისა და მსჯელობის მეთოდების ცოდნა
3. ამ ცოდნის გამოყენების უნარი

როგორც ვხედავთ, მხოლოდ მეთოდების ცოდნა და უნარების ფლობა არ არის საკმარისი, მთავარია არსებობდეს კრიტიკული აზროვნების გამოყენების პრაქტიკა და ამ პრაქტიკის შედეგების მიღების მზაობა.

მოსწავლეები არ უნდა ფიქრობდნენ, რომ კრიტიკული აზროვნება მხოლოდ ზოგიერთი აქტივობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. კრიტიკულად მოაზროვნე ან ხარ ან არა, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განწყობა, რომ მოვლენებს შეხედოს კრიტიკულად განსაკუთრებული თხოვნის გარეშე და შესაბამისად იაზროვნოს კრიტიკულად. კრიტიკული აზროვნებისათვის ისინი თავად უნდა იყვნენ განწყობილი.

გლასერი ასევე ამტკიცებს, რომ ზოგიერთ ადამიანს გააჩნია როგორც კრიტიკული აზროვნების უნარი, ასევე განწყობილია მათ გამოსაყენებლად, არიან ისეთებიც, რომლებსაც აქვთ გან-

წყობა, მაგრამ არ გააჩნიათ უნარები, ან უნარები გააჩნიათ და არ აქვთ განწყობა, ან არც ერთი აქვთ და არც მეორე. მასწავლებლის ამოცანაა განუვითაროს მოსწავლეს ეს უნარები და განაწყოს ისინი მათ გამოსაყენებლად.

რობერტ ენისი (1987) გვთავაზობს კრიტიკული აზროვნების დამახასიათებელ მიდრეკილებებსა და განწყობების ჩამონათვალს:

ნათლად ჩამოყალიბებული კითხვის, ან მტკიცებულების მოძიება;

მიზეზების/ახსნა-განმარტების მოძიება;

მცდელობა კარგად იყო ინფორმირებული;

დამაჯერებელი წყაროების გამოყენება;

მთლიანი სიტუაციის მხედველობაში მიღება;

მთავარ საკითხზე კონცენტრირება;

ალტერნატივების ძიება;

სხვების მოსაზრებების მიმართ გახსნილობა.

პოზიციის დაკავება (ან პოზიციის შეცვლა) როდესაც ამისათვის საკმარისი მიზეზი და მტკიცებულებები გაგვაჩნია;

რაც შეიძლება მეტი სიზუსტის ძიება, რამდენადაც საკითხი ამის საშუალებას იძლევა;

კომპლექსური მთლიანობის შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრული განხილვა;

სხვების გრძნობებისა და ცოდნის დონისადმი მგრძნობელობა.

როდის არის საჭირო კრიტიკული აზროვნება

ყოველთვის არ არის საჭირო კრიტიკული აზროვნება. კრიტიკული აზროვნების ნაწილია მიხვდე როდისაა საჭირო არგუმენტების სანდოობის გადამოწმება. მაგალითად თუ მეგობარი გვეუბნება, რომ დღეს სამსახურში გვიან მივიდა, რადგან დილით ჩაეძინა, არ ვამოწმებთ არგუმენტებს.

ზემოთ მოცემული კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ეს უნარი გვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რა უნდა ვირწმუნოთ, რისი უნდა გვჯეროდეს და/ან რა უნდა გავაკეთოთ.

გადაწყვეტილების მიღება ორი საფეხურისგან შედგება, ჯერ უნდა გავარკვიოთ რა არის ღირებული ანუ საითკენ უნდა ვისწრაფოდეთ, შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, როგორ მივაღწიოთ იმას, რაც ღირებულია (Hunter, 2009). კრიტიკული აზროვნება გვჭირდება ისეთ კითხვებზე საპასუხოდ როგორებიცაა:

ვაჩუქოთ თუ არა ფული ქუჩის ბავშვებს? ნამცხვარი შევჭამო თუ ხილით დავკმაყოფილდე? ქალაქის მერი უნდა აირჩიონ თუ დანიშნონ? რომელ პოლიტიკურ პარტიას მივცე ხმა არჩევნებში? ინტერნეტში მოპოვებული წყაროებიდან რომელი უფრო სანდოა? დ.ა.შ.

ხშირად ზემოთ მოცემული შეკითხვების მსგავს კითხვებს ცალსახა პასუხები არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმთავითვე არ არსებობს მასზე ცალსახა, ჭეშმარიტი პასუხი. მსგავს პრობლემებს ნაწილებად დაშლა და ცალკე ანალიზი სჭირდება, უნდა იპოვო საუკეთესო მეთოდი მათ გადასაჭრელად და მერე იმაზეც დაფიქრდე სწორად იყენებ თუ არა ამ მეთოდს.

რა არის არგუმენტი?

კრიტიკულ აზროვნებას საკუთარი წესები და მეთოდები აქვს.

როგორც ვნახეთ, ზემოთ მოცემული განმარტებების თანახმად, კრიტიკული აზროვნება „არგუმენტირებული" მსჯელობაა. შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად, მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რა არის არგუმენტი და რას გულისხმობს არგუმენტირებული მსჯელობა.

არგუმენტი საჭიროა იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რომელი მოსაზრებაა უფრო კარგად დასაბუთებული და მტკიცებულებებით გამყარებული. ჩვენ არგუმენტებს სხვადასხვა დასკვნების გასამყარებლად ვიყენებთ, შემდეგ კი ვაფასებთ ნამდვილად ამყარებს ჩვენი არგუმენტი ამ დასკვნას თუ არა.

არგუმენტი მოსაზრების თუ რწმენის გასამყარებლად მოცემული მტკიცებულებაა. იგი არ გულისხმობს მხოლოდ გარკვეული აზრების გამოხატვას, არამედ მოითხოვს მოსაზრებების დასაბუთებას (Weston 2009).

მაგალითად: **ბავშვის ცემა დანაშაულია**.

ეს არ არის არგუმენტი, რადგან აქ მხოლოდ გარკვეული მოსაზრება/რწმენაა წარმოდგენილი. არგუმენტი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ამ მოსაზრების გასამყარებლად გარკვეულ მტკიცებულებებს წარმოვადგენთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც დავასაბუთებთ მოსაზრებას, რომ ბავშვის ცემა დანაშაულია.

არგუმენტი შედგება წინაპირობებისაგან (წინამძღვრებისაგან) და დასკვნისაგან (შესაძლებელია გვქონდეს ერთი ან რამდენიმე წინაპირობა). ეს წინაპირობები რეალურად წარმოადგენენ ზემოთ ნახსენებ მტკიცებულებებს, რის გამოც უნდა დავიჯეროთ გამოთქმული მოსაზრება/მტკიცებულება, ხოლო ეს მოსაზრება ამ შემთხვევაში წარმოადგენს დასკვნას. ანუ-**არგუმეტი დასაბუთებული დასკვნაა**. მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

წინაპირობა: **ნებისმიერი ადამიანის ფიზიკური შეურაცხყოფა დანაშაულია**

წინაპირობა: **ბავშვი ადამიანია**

დასკვნა: **ბავშვის ფიზიკური შეურაცხყოფა დანაშაულია**

ეს უკვე არგუმენტია, ვინაიდან გვაქვს წინაპირობები და დასკვნა, თუმცა რამდენად მყარია არგუმენტი და რა განაპირობებს მის სიმყარეს ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითი:

უკვე ნახევარი საათია, **მერი და მისი მეგობარი მანქანით საცობში დგანან**. **მერი ამბობს**: ,,**დღეს სამსახურში დამაგვიანდება**"

არის თუ არა ეს არგუმენტი?

მერი წარმოგვიდგენს თავის მოსაზრებას, რომ დააგვიანდება, თუმცა ეს მოსაზრება არის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან (წინაპირობიდან), რომ ის ბევრ დროს კარგავს საცობში. ამ შემთხვევაში არგუმენტთან გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ წინაპირობები აქ არაპირდაპირაა წარმოდგენილი.

ზოგჯერ ძნელია არგუმენტი წინადადების გროვისაგან გამოარჩიო. ერთ-ერთი განმარტებით არგუმენტი არის წინადადე-

ბების ჯგუფი, სადაც ერთი წინადადება არის სწორი(დასკვნა) და დანარჩენ წინადადებები ადასტურებს ამ ერთის(დასკვნის) სისწორესა და დამაჯერებლობას (Talbot, 2010). თუ წინადადებებს შორის ასეთი მიმართება არ არსებობს, მაშინ ის არგუმენტს არ წარმოადგენს.

დღეს ელენე ღვეზელს მოამზადებს
ელენე კვირაობით ღვეზელს ამზადებს
დღეს კვირაა

აქ მოცემულია დასკვნა და ორი წინაპირობა, რომლებმაც დასკვნა უნდა დაასაბუთოს.

წინაპირობა: **დღეს კვირაა**
წინაპირობა: **ელენე კვირაობით ღვეზელს ამზადებს**
დასკვნა: **დღეს ელენე ღვეზელს მოამზადებს**

თუ მეორე წინაპირობას, ,კვირაობით ელენე ღვეზელს ამზადებს", გამოვტოვებთ, მაინც არგუმენტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ წინაპირობის გარეშე მტკიცებულება, რომ ,,დღეს ელენე ღვეზელს მოამზადებს" სუსტია. ყველამ რომ ვიცოდეთ, რომ ელენე კვირაობით ღვეზელს ამზადებს, მაშინ ამ არგუმენტს არ ექნებოდა მეორე წინაპირობა.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

წვიმა წამოვიდა, **იმიტომ**, **რომ ცა მოიქუფრა და ღრუბლები ერთად მოგროვდა**

არის თუ არა ეს არგუმენტი? წვიმის წამოსვლის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომც ცა მოიქუფრა და ცაზე ღრუბლები ერთად შეგროვდა, მაგრამ ეს წინადადება არ ამბობს, რომ ეს ორი რამ (ცის მოქუფრვა და ღრუბლების შეკრება) გვიბიძგებს ვირწმუნოთ, რომ წვიმა წამოვიდა.

თუ წინადადებებებს შორის არის რაციონალური, ან კაზუალური კავშირი, არ ნიშნავს, რომ არგუმენტთან გვაქვს საქმე. თუ წამოვაყენებთ რაღაც მტკიცებულებას, დასკვნას და ვამ-

ბობთ, რომ ის უნდა ვირწმუნოთ დანარჩენი წინაპირობებიდან გამომდინარე, მაშინ არგუმენტზე ვსაუბრობთ, თუ არა - მაშინ ეს არ არის არგუმენტი.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

თუ ბავშვები საღამოს ადრე დაიძინებენ, გოგი პორტრეტზე მუშაობას გააგრძელებს.

არის თუ არა ეს არგუმენტი ?

როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ ერთი წინადადებაა, არა გვაქვს დასკვნა და წინაპირობა/ები. არ ვამტკიცებთ რომ ბავშვები ადრე დაიძინებენ, არც იმას, რომ გოგი სურათზე მუშაობას ამ საღამოს დაასრულებს.

მიუხედავად ამისა, ეს მტკიცებულება გავს არგუმენტს, ვინაიდან მტკიცებულება ხშირად შეიძლება გავდეს არგუმენტს.

მეორე მხრივ მსგავსი მტკიცებულება შეიძლება გადავაკეთოთ არგუმენტად

გოგი პორტრეტზე მუშაობს, როცა საღამოს ბავშვები ადრე იძინებენ

დღეს საღამოს ბავშვები ადრე იძინებენ

გოგი დღეს საღამოს პორტრეტზე მუშაობას გააგრძელებს

როგორც ვხედავთ, წინადადებების ჯგუფი არგუმენტია მხოლოდ მაშინ, როდესაც დასკვნა და წინაპირობები ერთმანეთთან სათანადოდაა დაკავშირებული.

როგორია კარგი არგუმენტი?

როგორც ვხედავთ არგუმენტის ამოცნობა მნიშვნელოვანია, მაგრამ კრიტიკული აზროვნება მოიცავს მათ შეფასებასაც.

როგორია კარგი/მყარი არგუმენტი? კარგი არგუმენტი გამართულია როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:1. ვალიდურია 2. დედუქციურად ძლიერი არგუმენტია 3. სწორი წინაპირობები აქვს. 4. არგუმენტის წინაპირობები და დასკვნა ერთმანეთს არ იმეორებს 5. წინაპირო-

ბები დამაჯერებელია და დასკვნისათვის რელევანტურია(Lau and Chan, 2004) . [1]

ვალიდური არგუმენტი

ვალიდური არგუმენტი გულისხმობს, რომ არგუმენტის ფორმა გამართულია. არგუმენტის ფორმას (და არა კონკრეტული არგუმენტის შინაარსს) სწავლობს ლოგიკა. ლოგიკური არგუმენტი ვალიდური არგუმენტია. ლოგიკურ არგუმენტს აქვს თავისი სტრუქტურა, თუ წინაპირობები სწორია მაშინ დასკვნაც სწორია. ლოგიკური/ვალიდური არგუმენტი გულისხმობს, რომ თუ ჩვენი წინაპირობები ჭეშმარიტია, ჩვენი დასკვნა არ უნდა იყოს მცდარი. ლოგიკის საგანი სწავლობს არის თუ არა შესაძლებელი, რომ არგუმენტში წინაპირობები იყოს სწორი მაგრამ დასკვნა არა.

წინაპირობა: **მაგნიტი იზიდავს რკინას**
წინაპირობა: **ეს ნივთი რკინისაა**
დასკვნა: **მაგნიტი იზიდავს ამ ნივთს**

ეს არგუმენტი ვალიდურია, იგი ლოგიკურიცაა.

ხშირად შეიძლება არგუმენტის დასკვნა შინაარსობრივად იყოს სწორი, მაგრამ არ იყოს ლოგიკური. თუკი არგუმენტის ფორმა არ არის შესაბამისი, ის არ არის ლოგიკური/ვალიდური, იმის მიუხედავად, რომ დასკვნა სწორია. მაგალითად:

წინაპირობა: **მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეუძლიათ შეიძინონ ავტომობილი Porsche 911**
წინაპირობა: **ბილ გეითსს ყავს ავტომობილი Porsche 911**
დასკვნა: **ბილ გეითსი მდიდარია**.

ამ შემთხვევაში დასკვნა სწორია, ბილ გეითსი მართლაც მდიდარი ადამიანია, მაგრამ ეს დასკვნა არ გამომდინარეობს წინაპირობებიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინაპირობა სწორია.

1 ასევე გასათვალისწინებელია ფორმალური და არაფორმალური მცდარი არგუმენტებიც, რომლებიც კლასიფიცირებულია და მათი გაცნობა შესაძლებელია ლოგიკის სახელმძღვანელოებში.

შესაძლებელია იგივე მანქანა ყავდეს ადამიანს ვინც არ არის მდიდარი (მაგ. შეიძლება ლატარიაში მოიგო).

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

წინაპირობა: **ყველა ეფექტური მასწავლებელი გაკვეთილზე** 5 **წუთით ადრე შედის**.

წინაპირობა: **მარინა მასწავლებელი ყოველთვის** 5 **წუთით ადრე შედის გაკვეთილზე**.

დასკვნა: **მარინა მასწავლებელი ეფექტური მასწავლებელია**.

წარმოვიდგინოთ, რომ ორივე წინაპირობა ჭეშმარიტებაა. ვალიდურია თუ არა ეს არგუმენტი? განმარტების მიხედვით, ვალიდურობის შემთხვევაში თუ წინაპირობები სწორია, მაშინ დასკვნა აუცილებლად სწორი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი ასე არ არის, რადგან პირველი წინაპირობა სწორიც რომ იყოს, მაინც ვერ გამორიცხავ, რომ ზოგი არაეფექტური მასწავლებელიც შედის 5 წუთით ადრე კლასში. შეიძლება მარინა მასწავლებელი სწორედ ასეთი მასწავლებელია. ამიტომ ეს არგუმენტი არ არის ვალიდური.

არავალიდურ არგუმენტზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ჩვენ არ ვაკვირდებით წინაპირობის შინაარსის სისწორეს. ჩვენ ვიღებთ წინაპირობას როგორც სწორს, მაგრამ ვიკვლევთ ამ წინაპირობების შემთხვევაში არის თუ არა რაიმე შესაძლებლობა, რომ დასკვნა არ იყოს სწორი! ანუ არასწორი წინაპირობა არ მიჩვენებს იმას, რომ არგუმენტი არ არის ვალიდური.

არისტოტელე პირველად შეეცადა წარმოედგინა ვალიდური და არავალიდური არგუმენტების სისტემატური ტაქსონომია. არისტოტელეს აზრით, ყველა არგუმენტის კლასიფიცირება საჭიროა მათი ფორმის მიხედვით.

ხშირად არგუმენტი შეიძლება ძალიან გავდეს ვალიდურს, მაგრამ სინამდვილეში იყოს ძალიან სუსტი. მაგალითად შეიძლება არგუმენტი აგებული იყოს ისეთ წინაპირობებზე, რომლებიც გაზვიადებული, არასწორი და არამყარია, ან ფოკუსი სხვა საკითხზე გადააქვს:

მაგალითად:

წინაპირობა: **ყბაყურა იწვევს ავად გახდომას**
წინაპირობა: **ყბაყურას ვაქცინა შეიცავს ყბაყურას ვირუსს**
წინაპირობა: **შესაბამისად ყბაყურას ვაქცინა იწვევს ავად გახდომას**

ეს არგუმენტი ჩანს ლოგიკური, თუმცა მისი წინაპირობები სწორი არ არის.

აქ საჭიროა ვაჩვენოთ, რომ ყბაყურას ვირუსი ისეთი ფორმითაა მოცემული ვაქცინაში, რომელიც არ გამოიწვევს დაავადებას. სინამდვილეში ვაქცინა მოიცავს კომპონენტს რომლის რეპროდუცრება ნელა ხდება და ადამიანი ავად არ ხდება.

ცხადია, ძნელია ერთი შეხედვით მიხვდე ასეთ განსხვავებას, მაგრამ საბოლოო ჯამში ამ ტიპის განსხვავებების აღმოჩენა სწორი დასკვნის შემუშავებაში გვეხმარება.

იმისათვის, რომ გაარჩიოთ ვალიდური და არავალიდური არგუმენტი, მოიფიქრეთ იმავე ფორმის სხვა არგუმენტი, რომელსაც აქვს სწორი წინაპირობები და არასწორი დასკვნა. გახსოვდეთ: ვალიდური არგუმენტის შემთხვევაში არასდროს გვექნება სწორი წინაპირობები და არასწორი დასკვნა. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი:

წინაპირობა: **თუ სოკრატე ფილოსოფოსი იყო**, **მაშინ ის არ იქნებოდა ისტორიკოსი**
წინაპირობა: **სოკრატე არ იყო ისტორიკოსი**
დასკვნა: **სოკრატე იყო ფილოსოფოსი**

აქ დასკვნა სწორია, მაგრამ არგუმენტი არ არის ვალიდური. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ ამავე ფორმის სხვა არგუმენტი:

წინაპირობა: **თუ სოკრატე იყო ლომი**, **მაშინ ის არ იქნებოდა კურდღელი**
წინაპირობა: **სოკრატე არ იყო კურდღელი**
დასკვნა: **სოკრატე იყო ლომი**

ასევე გაითვალისწინეთ ისიც, რომ ვალიდური არგუმენტის შემთხვევაში დამატებითი წინაპირობების წარმოდგენამ არ შეი-

ძლება შეცვალოს დასკვნა. არავალიდურ არგუმენტში, ახალი წინაპირობების წარმოდგენამ შეიძლება დაასუსტოს ან განამტკიცოს მოცემული დასკვნა.

ძლიერი ინდუქციური არგუმენტი

არის თუ არა იმის შანსი, რომ არავალიდური არგუმენტი იყოს კარგი? არის! თუ არგუმენტი ძლიერია, შეიძლება ის არ იყოს ვალიდური, მაგრამ მაინც ჩაითვალოს კარგ/მყარ არგუმენტად.

მაგალითად

წინაპირობა: ჩემი ბებია ოცდაათი წელია გემრიელ სადილს მახვედრებს საღამოობით

წინაპირობა: დღეს საღამოსაც ბებია მის მომზადებულ სადილს დამახვედრებს

დასკვნა: ბებიას მომზადებული სადილი გემრიელი იქნება

ეს არგუმენტი არ არის ვალიდური. ლოგიკურად ის დასკვნა, რომ ბებო დღეს გემრიელ სადილს მოამზადებს, არ გამომდინარეობს იმ წინაპირობიდან, რომ ბებო ყოველთვის გემრიელად ამზადებს. ლოგიკურად შეუძლებელი სულაც არ არის, რომ დღეს ბებომ ცუდი სადილი მოამზადოს. შეიძლება ასეთი რამ ძალიან ნაკლებადაა სავარაუდო, მაგრამ გამორიცხული არ არის. თუმცა იმის გამო, რომ ასეთი ალბათობა ძალიან ნაკლებია, ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი რამ თითქმის შეუძლებელია და მივიჩნევთ, რომ მტკიცებულება/დასკვნა მყარია.

ანუ შეიძლება კარგი არგუმენტი არ იყოს ვალიდური, მაგრამ იყოს ინდუქციურად მყარი (იხ. ნაწილი ინდუქციაზე ამავე თავში). თუ არგუმენტი ინდუქციურად სუსტია მაშინ არ არის კარგი არგუმენტი((Lau and Chan, 2004).

წინაპირობების სისწორე

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პირველ რიგში კარგი არგუმენტი არის ლოგიკური ანუ ვალიდური არგუმენტი, მაგრამ მხოლოდ ლოგიკურობა/ვალიდურობა არ მიუთითებს, რომ არგუმენტი

არის კარგი და გონივრული.

ლოგიკა სწავლობს ინფორმაციის, არგუმენტის ფორმას და არა კონკრეტული არგუმენტის შინაარსს. შესაბამისად, არგუმენტის შესაფასებლად უნდა გავცდეთ ლოგიკის ფარგლებს.

არგუმენტის უარყოფისთვის ორ საკითხში უნდა დავრწმუნდეთ: 1. არგუმენტი არალოგიკურია და დასკვნა არ გამომდინარეობს წინაპირობებიდან. 2. რომელიმე წინაპირობა არასწორია, ან გამოტოვებულია.

განვიხილოთ მაგალითი, როცა არგუმენტი ფორმით საკმაოდ გამართული ანუ ლოგიკურია, მაგრამ დასკვნა არასწორია, რადგან არასწორადაა დაკავშირებული წინაპირობებთან.

წინაპირობა: **ყველაფერი რაც ბუნებრივია**, **სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის**

წინაპირობა: **მარიხუანა ბუნებრივია**

დასკვნა: **მარიხუანა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის**

ეს არგუმენტი ვალიდურია, მაგრამ კარგი არგუმენტი არ არის, რადგან მისი ერთ-ერთი წინაპირობა არ არის სწორი. ყველაფერი, რაც ბუნებრივია, არ არის სასარგებლო ჯამრთელობისთვის (მაგალითად სოკოს გარკვეული სახეობები), შეაბამისად ეს არ არის კარგი არგუმენტი.

თუ წინაპირობები არაა სწორი, ამ თვალსაზრისით მათი მომცველი არგუმენტი არაა კარგი არგუმენტი, მაგრამ თუ წინაპირობებიდან დასკვნა გამომდინარეობს, იგი ლოგიკურია.

მაგალითად:

წინაპირობა: დღეს პარასკევია

წინაპირობა: პარასკევობით გოგონები კაფეში ვიკრიბებით

დასკვნა: დღეს გოგონები კაფეში შევიკრიბებით.

თუ დღეს არც პარასკევია, და არც ისაა სწორი, რომ ყოველ პარასკევს გოგონები კაფეში ვიკრიბებით, ეს არის ლოგიკური, მაგრამ არა კარგი/მყარი არგუმენტი.

როდესაც წინაპირობები სწორია, მაგრამ დასკვნა არა, არგუმენტი არ შეიძლება იყოს კარგი:

ორშაბათობით ლექცია მთავრდება 4 საათზე
დღეს ლექცია 4 საათზე დამთავრდა
დღეს ორშაბათია.

ეს ცუდი არგუმენტია, იგი მცდარ დასკვნას წარმოგვიდგენს, ვინაიდან დასკვნა არ გამომდინარეობს წინაპირობებიდან, მიუხედავად იმისა, რომ წინაპირობები სწორია.

<u>წინაპირობები და დასკვნა არ იმეორებს ერთმანეთს</u>

ზოგჯერ არგუმენტში დასკვნის გასამყარებლად ისეთი წინაპირობებია, რომლებიც სინამდვილეში იმეორებს დასკვნას. საქმე გვაქვს წრიულ არგუმენტთან, რაც ყოველთვის არ არის მარტივი გამოსაცნობი.

,,მიზეზი რატომაა ამ სპექტაკლის ბილეთებზე ასეთი დიდი მოთხოვნა, ისაა რომ ყველას უნდა მისი ნახვა". ანუ აქ რეალურად ავტორი ამბობს, რომ ,,ბილეთებზე იმიტომ არის მოთხოვნა, რომ დიდი მოთხოვნაა მათზე". რეალურად ეს არგუმენტი ფორმით გამართული ანუ ვალიდურია, მეორე მხრივ წინაპირობაც შესაძლოა სწორია, თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ძლიერ არგუმენტად მივიჩნიოთ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

,,რადგან მერი საუკეთესო მეგობარს არ მოატყუებდა, და მერის ჩემთვის ნათქვამი აქვს, რომ მისი საუკეთესო მეგობარი ვარ, გამოდის მართლაც მერის საუკეთესო მეგობარი ვარ" (Lau and Chan 2004, p.2).

ამ მაგალითში დასკვნა და წინაპირობა ზუსტად არ მეორდება, მაგრამ მაინც შეიძლება წრიულ და შესაბამისად სუსტ არგუმენტად ჩაითვალოს.

<u>წინაპირობების დამაჯერებლობა და დასკვნისთვის რელევანტურობა</u>

თეორიულად შესაძლებელია არსებობდეს ჭეშმარიტი განცხადებები და თეორიები, მიუხედავად იმისა, რომ არავის შეუძლია

ამის დასაბუთება. თუკი წინაპირობები სწორია, მაგრამ ვერ ვასაბუთებთ სისწორეს, არგუმენტი ვერ იქნება დამაჯერებელი და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები ვერ მიიღებენ დასკვნას როგორც ჭეშმარიტებას. არგუმენტი კარგია, როდესაც გონიერი ადამიანი მას მიიღებს როგორც კარგ არგუმენტს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინაპირობები დასკვნის რელევანტური იყოს.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, რომელიც შეიცავს დასკვნისთვის არარელევანტურ, მაგრამ დამაჯერებელ წინაპირობებს.

წინაპირობა: **ძალიან სამწუხაროა**, **რომ ანის პარკინსონის დაავადება აღმოაჩნდა**

წინაპირობა: **ანი ვეგეტარიანელია**

დასკვნა : **ხორცის მიღება ორგანიზმისთვის აუცილებელია**

აქ წინაპირობები დამაჯერებელია, მაგრამ დასკვნა, რომელიც ანის დაავადებას ვეგეტარიანელობასთან აკავშირებს არ გამომდინარეობს წინაპირობებიდან. არსად არ ჩანს ამ დაავადებისა და ვეგეტარიანელობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. შესაბამისად დასკვნა არარელევანტურია. კიდევ ერთი მაგალითი

წინაპირობა: **ლითონი ატარებს ელექტრობას**

წინაპირობა: **კაუჩუკი არ არის ლითონი**

დასკვნა: **კაუჩუკი არ ატარებს ელექტრობას** (**ბაქრაძე**, 1955, **გვ**. 63 **გვ**)

აქ აზრთა კავშირი არ არის სწორი. დასკვნა არ არის რელევანტური. ეს თანმიმდევრულობა არ არის ჩვენზე დამოკიდებული, შეუძლებელია მოცემული წინაპირობებიდან ნებისმიერი დასკვნა გამოვიტანოთ.

წინაპირობა: **ამ კვირაში ჯეკ-პოტი მილიონ ლარამდე გაიზარდა**

წინაპირობა: **ვინც ლატარიას არ თამაშობს**, **ვერ მოიგებს**

დასკვნა: **ამ კვირაში აუცილებლად ითამაშეთ ლატარია**

ამ შემთხვევაში წინაპირობები დამაჯერებელია, თუმცა დასკვნა არა. დასკვნა გამომდინარეობს გაზრდილი ჯეკპოტიდან

და იმ ფაქტიდან, რომ თუ არ ითამაშებ ვერ მოიგებ, მაგრამ ეს არგუმენტი არ არის მყარი, ვინაიდან გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მოგების ალბათობა.

შეიძლება ეთანხმებოდეთ წინაპირობებს, მაგრამ მაინც შეიძლება დასკვნის უგულვებელყოფა, რადგან იგი არ გამომდინარეობს წინაპირობებიდან.

გაითვალისწინეთ, რომ არგუმენტი არ შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი. სწორი ან მცდარი შეიძლება იყოს წინაპირობები. არგუმენტი შეიძლება იყოს კარგი/მყარი ან ცუდი, ვალიდური და არავალიდური.

კარგი არგუმენტი ასევე გულისხმობს, რომ ის მარტივი და გასაგები ენითაა ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ემოციას, თუ კრიტიკულად მოაზროვნეს სხვისი დარწმუნება ძალიან სურს, შესაძლებელია არგუმენტს ემოციაც თან ახლდეს, მაგრამ ემოციებით გადაფარული სუსტი არგუმენტი არ გამოეპარება კრიტიკულად მოაზროვნე აუდიტორიას (Murray and Kujundzic 2005).

დედუქცია და ინდუქცია

არგუმენტი შეიძლება იყოს დედუქციური და ინდუქციური.

დედუქციურ არგუმენტში დასკვნის სისწორე ლოგიკურად გამომდინარეობს სწორი წინაპირობებისაგან. თუ დედუქციურ არგუმენტში წინაპირობები სწორია, მაგ. თუ ,,**მაგნიტი იზიდავს რკინას**" და ,,**ეს ნივთი რკინისაა**", მაშინ დასკვნა, რომ ,,**მაგნიტი იზიდავს ამ ნივთს**" აუცილებლად სწორია.

თუმცა იმისათვის, რომ არგუმენტი იყოს დედუქციური, არ არის აუცილებელი, წინაპირობები სწორი იყოს.

წინაპირობა: **ბონდი არის ძაღლი**
წინაპირობა: **ყველა ძაღლს აქვს ყავისფერი ბეწვი**
დასკვნა: **ბონდს აქვს ყავისფერი ბეწვი**

ეს დედუქციური არგუმენტია არასწორი წინაპირობებით.

დედუქციური არგუმენტი ვალიდურია იმ შემთხვევაში, თუკი მას აქვს ლოგიკური ფორმა. ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტს შეიძლება ჰქონდეს მცდარი წინაპირობები და ავტორი მცდარ დასკვნას აკეთებდეს, მაგრამ ფორმით იგი ვალიდური იქნება (ისევე, როგორც ბონდის მაგალითის შემთხვევაში). მაგრამ, თუ დედუქციური არგუმენტი ვალიდურია, ხოლო მისი წინაპირობები სწორი, მაშინ დასკვნა აუცილებლად სწორია.

დედუქციურ არგუმენტში დასკვნა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს წინაპირობებიდან. ანუ დასკვნა არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს რასაც წინაპირობები ამტკიცებს.

ჩემი სახლის სამზარეულოში ათი თეფში დევს მაგიდაზე. სამზარეულოს კარადაში კი ექვსი თეფშია. სამზარეულოში მაგიდისა და კარადის გარდა არსად არ არის თეფშები. მაშასადამე სამზარეულოში სულ თექვსმეტი თეფშია.

ეს დედუქციური არგუმენტია და დასკვნა გამომდინარეობს წინაპირობებიდან. თუმცა თუ დასკვნას ასეთი სახე ექნებოდა ,,მაშასადამე ჩემს სახლში მხოლოდ სამზარეულოშია თეფშები", მაშინ იგი სცდება წინაპირობების ფარგლებს და ვერ ჩაითვლება დედუქციურ არგუმენტად.

ინდუქციურ არგუმენტში, თუ წინაპირობები სწორია, სავარაუდოდ დასკვნაც სწორი იქნება (ყურადღება მიაქციეთ სიტყვას ,,სავარაუდოდ").

ინდუქციურ არგუმენტში თუ წინაპირობები სწორია დასკვნა ნაკლებ სავარაუდოა რომ სწორი არ იყოს, თუმცა ეს გარანტირებული არ არის. მიუხედავად ამისა, კარგ ინდუქციურ არგუმენტში, სწორი წინაპირობები კარგ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასკვნა სწორია. მაგ.:

წინაპირობა: **მთელი დღის ძებნის შემდეგ, ამ ტყეში არყის ხე ვერ ვიპოვეთ**

დასკვნა: **სავარაუდოდ ამ ტყეში არყის ხე არ იზრდება**

კიდევ ერთი მაგალითი:

წინაპირობა: **სტრესი სიცოცხლეს ამოკლებს**

წინაპირობა: **ბევრი მწეველი მოწევით სტრესს ამარცხებს**

დასკვნა: **მწეველები მოწევის საშუალებით სიცოცხლეს იხანგრძლივებენ**

თუ მოცემული წინაპირობები სწორია, მაშინ დიდი შანსია (მაგრამ არა ასპროცენტიანი) იმისა, რომ დასკვნა სწორი იყოს. შესაძლოა მოწევით ადამიანი მართლაც ამარცხებს სტრესს, მაგრამ აქ ნახსენები არ არის მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოწევის ჯანმრთელობისთვის მავნე მხარეებთან.

ხშირად ინდუქციური და დედუქციური არგუმენტების გასარჩევად იყენებენ ზოგადისა და კონკრეტულის ცნებას. დედუქციურ არგუმენტში დასკვნის გაკეთებისას ზოგადი დებულებიდან გავდივართ კონკრეტულზე, ხოლო ინდუქციურში კონკრეტულიდან მივდივართ ზოგადისკენ (მაგ. ყველა ძაღლს აქვს ყავისფერი ბეწვი - ეს ზოგადი დებულებაა, მასზე დაყრდნობით გაკეთდება დასკვნა კონკრეტული ძაღლი ბონოს ბეწვზე; ინდუქციურში, კერძო ფაქტიდან, რომ ტყეში კონკრეტული არყის ხე ვერ ვიპოვეთ, ვაკეთებთ ზოგად დასკვნას, რომ ამ ტყეში არყის ხე არ იზრდება).

თუმცა ეს მიდგომა ყოველთვის არ გამოგვადგება, ყველა არგუმენტს ასე ვერ გავარჩევთ. მაგალითად, ანალოგიის შემცველი არგუმენტები კონკრეტული წინაპირობიდან კონკრეტულ დასკვნას აკეთებს:

მე უკვე ორმოცდაათი ვაშლი დავათვალიერე ამ ყუთში და ყველა წინწკლებიანია. **დანარჩენი ათი ვაშლიც წინწკლებიანი იქნება**.

როგორც ვნახეთ, დედუქციურში გვაქვს რწმუნებულება, რომ რაღაც სწორია, ინდუქციურში კი მხოლოდ სისწორის ალბათობა. ინდუქციურ არგუმენტში თუ წინაპირობა სწორია, დასკვნის მართებულობის ალბათობა მეტია.

ინდუქციურ არგუმენტს მრავალი ფორმა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად სტატისტიკური მონაცემების შეფასება (1989 წელს

საქართველოს მოსახლეობა 5.4 მილიონი იყო, 2005 წელს კი მიგრაციის შედეგად მოსახლეობის რაოდენობა არის 4.4 მილიონი, თუ მიგრაცია შესუსტდა, უახლოეს 20 წელში საქართველოს მოსახლეობა გაიზრდება), წარსული გამოცდილებიდან განზოგადება (მაგ. რაც თავი მახსოვს, იანვარში თბილისში ყოველთვის თოვდა, შემდეგ იანვარშიც ითოვებს), ნიშნებიდან დასკვნის გამოტანა (ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, ხვალ არ იწვიმებს) მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებები დ.ა.შ.

წაიკითხეთ და გააანალიზეთ ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები: ინდუქციურია თუ დედუქციური, ვალიდურია თუ არა, მყარია თუ არა?

1. *მე ყოველთვის მერსედესის მარკის მანქანები მყავდა და ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი. მომავალშიც მერსედესის მარკის მანქანას ვიყიდი.*

2. *თუ დემეტრე კაცია, მაშინ დემეტრე მოკვდავია. დემეტრე კაცია. ამდენად, დემეტრე მოკვდავია.*

3. *თუ სანჩო პანსა ცხენია, მაშინ მას ოთხი ფეხი აქვს. სანჩო პანსა ცხენია. ამდენად სანჩო პანსას აქვს ოთხი ფეხი.*

4. *ან ღმერთი არსებობს ან 2+2=5*
   2+2=4 ღმერთი არსებობს

5. *ყველა ინჟინერს უყვარს ოპერა. შესაბამისად, ზოგიერთ მამაკაცს უყვარს ოპერა*

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არგუმენტი ყოველთვის გვიჩვენებს დამოკიდებულებას ერთ ან მეტ წინაპირობასა და დასკვნას შორის. თუ ასეთი დამოკიდებულება არ გვხვდება ესე იგი არ არის არგუმენტი. თუმცა, არ არის აუცილებელი, წინაპირობები და დასკვნა პირდაპირ იყოს გამოხატული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს მათი გამოცნობა. ანუ ,,**დაემორჩილეთ მოძრაობის წესებს**“ ვერ იქნება არგუმენტი, რადგან აქ არც პირდაპირაა მითითებული და გამოცნობაც რთულია იმისა, თუ რომელია წინაპირობები და რა დამოკიდებულებაა წინაპი-

რობებსა და დასკვნას შორის (Bickenbach and Davies 1996, p.45).

არგუმენტი მოსწავლეებს შეიძლება შეხვდეთ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურულ ნაწარმოებებში მაგრამ ის შეიძლება არ იყოს პირდაპირ ნათქვამი. შეგიძლიათ ასაკის მიხედვით მისცეთ მოსწავლეებს ნაწყვეტი *სალამურას თავგადასავლიდან* ან ხორხე ლუი ბორხესის ესსე წასაკითხად.

ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ დაფიქრდნენ 1. არის თუ არა აქ არგუმენტი წარმოდგენილი 2. როგორ არგუმენტთან გვაქვს საქმე 3. ჩამოაყალიბონ დასკვნა, შესაბამისი წინაპირობები და შეაფასონ ისინი.

სალამურას თავგადასავალი[2]

ნაწილი პირველი

განსაცდელი

უფლისწულის უცნაური საზმარი

ერთხელ ქონდარეთის ხელმწიფის ვაჟმა უცნაური სიზმარი ნახა... ეს სიზმარი იმდენად საინტერესო მეჩვენება, რომ ამბის მოყოლა აქედან დავაპირე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მართლაც, რა დროს ხელმწიფის ვაჟის სიზმარია, როცა თქვენ ისიც კი არ იცით, რა ქვეყანაა ქონდარეთი, ანდა ვინ არის მისი ხელმწიფე. სიმართლე თუ გინდათ გაიგოთ, ასეთ ქვეყანას, სახელგანთქმული მოგზაურიც რომ იყოთ, ახლა ვერსად აღმოაჩენთ. მე კი სარწმუნო წყაროებიდან ვიცი: ქონდარეთი ნამდვილად არსებობდა. მაშინ სხვა დრო გახლდათ, მაშინ მთელი დედამიწა მხოლოდ მშვენიერი ზღაპრული ქვეყნებით იყო დასახლებული და ამ მშვენიერ ქვეყნებში ცხოვრობდნენ თქვენთვის ცნობილი და საყვარელი ზღაპრის გმირები.

ყველა ზღაპარი, რომელიც თქვენ გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ, რა თქმა უნდა, იმდროინდელია.

2 ორივე ლიტერატურული ნაწარმოები აღებულია ვებგვერდიდან: www.lib.ge

ამბავი ორი კაცისა, რომელთაც სიზმარი იხილეს
ხორხე ლუის ბორხესი

მთარგმნელი ნინო ფიფია

არაბი ისტორიკოსი, იქსაკი, მოგვითხრობს ამ ამბავს: კაცნი ღირსეულნი ნდობის ამბავს ყვებიან (თუმცა მხოლოდ ალაჰია ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე და გულმოწყალე და ფხიზლობს იგი), რომ ყოფილა ქაიროში კაცი ერთი, ყოველგვარ სიმდიდრეთა მფლობელი, მაგრამ ისეთი დიდსულოვანი და შემწყნარებელი, რომ დაუკარგავს ყველაფერი და იძულებული გამხდარა, ეშრომა ლუკმა-პურის საშოვნელად. ერთხელაც იმდენი იმუშავა თავის ლეღვის ბაღში, რომ ძილმა დაჯაბნა და იხილა სიზმრად კაცი, რომელმაც პირიდან გამოიღო ოქროს მონეტა და უთხრა: "სიმდიდრე შენი სპარსეთში არს, ისპაჰანში, წადი მის მოსაძებნად". მომდევნო ალიონზე გაიღვიძა კაცმა და გაუდგა გრძელ გზას. დაუპირისპირდა ხიფათებს, მოვლენილს უდაბნოთა, ხომალდთა, მეკობრეთა, კერპთაყვანისმცემელთა, მდინარეთა, მხეცთა და კაცთაგან. ბოლოს და ბოლოს, მიაღწია ისპაჰანამდე, მაგრამ გააოცა იგი ქალაქის ღამემ და მიიძინა მეჩეთის ეზოში.

მეჩეთთან ახლოს სახლი იდგა და ყოვლისშემძლე უფლის ნებით ქურდბაცაცების ჯგუფმა გადაჭრა მეჩეთი და სახლში შეიპარა. სახლში მყოფებს ხმაურზე გაეღვიძათ და შველა ითხოვეს. მეზობლებმაც გაიღვიძეს. მალე იმ უბნის გუშაგთა კაპიტანი თავის კაცებთან ერთად გამოჩნდა, ყაჩაღები კი სახლის სახურავიდან გაიპარნენ. უფროსმა მეჩეთის გაჩხრეკა ბრძანა და სწორედ მასში წააწყდნენ კაცს ქაიროდან და ისე გაროზგეს, რომ ლამის სიკვდილის პირას მიიყვანეს. ორი დღის შემდეგ კაცი გონს საპყრობილეში მოეგო. კაპიტანმა მოიხმო იგი და და ჰკითხა მას: "ვინა ხარ და საიდან მოსულხარ?".

სხვამ განაცხადა: "მე ცნობილი ქალაქიდან – ისპაჰანიდან ვარ და მოჰამედ ელ მაღრებია სახელი ჩემი". კაპიტანმა ჰკითხა: "აქ რამ მოგიყვანა მერე?" მეორემ სიმართლის

> თქმა ამჯობინა და უთხრა მას: “სიზმრად ნანახმა კაცმა მიბრძანა ისპაჰანს მოვსულიყავი, რადგან აქ იყო სიმდიდრე ჩემი, აწ უკვე ვხედავ, რომ ეს სიმდიდრე ალბათ ის როზგებია, რომელიც ასე დიდსულოვნად მივიღე შენგან” ამ სიტყვების გაგონებაზე კაპიტანმა გულიანად გადაიხარხარა და უპასუხა: “უაზრო და მიამიტო კაცო,სამჯერ მეზმანა ქალაქ ქაიროს სიღრმეში ბაღი, ბაღში მზის საათი და მზის საათის შემდგომ ლეღვის ხილნარი, ლეღვის ბაღს იქეთ წყარო, წყაროს ქვეშ კი განძი. ამ ტყუილისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, შენ კი, რა თქმა უნდა, წყეულ ჯორზე ამხედრებულმა იხეტიალე ქალაქიდან ქალაქში მარტოოდენ შენი სიზმრის რწმენის ამარა. ისპაჰანში აღარ დაგინახო, აიღე ეს მონეტები და წადი”. »კაცმა აიღო მონეტები და სამშობლოში დაბრუნდა. თავისი ბაღის წყაროს ქვეშ (ეს ის ბაღია, კაპიტანმა სიზმრად რომ ნახა) განძი ამოთხარა. ასე დალოცა უფალმა, აუნაზღაურა ზარალი და შთააგონა იგი. უფალი დიდსულოვანია, იდუმალი.»

როგორ იცვლება მასწავლებლის როლი

როდესაც მასწავლებელი მიზანმიმართულად ასწავლის კრიტიკულ აზროვნებას, იგი აუცილებლად იყენებს აქტიური სწავლების მეთოდებს. აქტიური სწავლება მოიცავს ნებისმიერი ტიპის აქტივობას საკლასო ოთახში, რომელიც ტრადიციული სწავლებისაგან იმით განსხვავდება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და მათ აქტიურობას გულისხმობს.

მასწავლებელი ირგებს ფასილიტატორის როლს, იგი აძლევს მოსწავლეებს მასალას, რაზეც უნდა იფიქრონ, შემდეგ ახორციელებს აქტივობებს, სადაც მოსწავლეები არიან წამყვან როლში და მასწავლებელი მხოლოდ გზის მიმცემია. მასწავლებლის ჩართულობა უნდა იყოს მინიმალური, მაგრამ ამასთანავე ძალიან კარგად დაგეგმილი, რათა სწორად წარმართოს მოსწავლეთა საქმიანობა და აქტიური სწავლება მოსწავლეთა ნებაზე მიშვებასა და ქაოსში არ გადაიზარდოს.

აქტიური სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს მიეკუთვნება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტი, სოკრატული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ერთ წუთიანი ესსე (მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებს აწერინებს თავიანთ მოსაზრებას კონკრეტულ საკითხზე) დ.ა.შ.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს თავად უნდა აჩვენონ კრიტიკული აზროვნების მაგალითი სწავლების პროცესში და მოსწავლეებისათვის მისაბაძ მაგალითად იქცნენ. შემდეგ მათ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების საშუალება უნდა მისცენ შესაბამისი მასალების და აქტივობების გამოყენებით.

როდის იძლევა მასწავლებელი კრიტიკული აზროვნების მაგალითს? მაშინ, როდესაც იგი უპირობოდ არ იღებს ავტორიტეტების მოსაზრებებს; მაშინ, როდესაც მოსწავლეების მხრიდან განსხვავებული აზრის გამოხატვისას ცდილობს სხვა მოსწავლეებთან ერთად გაარკვიოს მისი მოსაზრებების რელევანტურობა და ნაჩქარევად არ გადადის სხვა საკითხებზე; მაშინ, როდესაც მას შეუძლია საკუთარი შეცდომის აღიარება, როდესაც მოსწავლეების მოსაზრებებსა და გამოხმაურებებს უყურადღებოდ არ ტოვებს, როდესაც ახალისებს მოსწავლეების ურთიერთ შეფასებასა და მათ კომენტარებს, როდესაც კლასში ქმნის უსაფრთხო კლიმატს (გარემოს), სადაც ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება, თუმცა მას შესაბამისი დასაბუთება ან დასაბუთების მცდელობა მაინც უნდა მოყვეს.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, მასწავლებელმა ყოვლისმცოდნის იმიჯი უნდა მოიშოროს. ადამიანი, რომელსაც აქვს ყველა კითხვაზე მზა პასუხი, ყოველთვის იცის რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს, ნაკლებად ტოვებს კრიტიკულად მოაზროვნის შთაბეჭდილებას. მოსწავლეებმა თავად უნდა იფიქრონ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, უნდა იცოდნენ რა გზითაა შესაძლებელი საჭირო ცოდნის შეძენა. მათ უნდა დასვან კითხვები.

უმნიშვნელოვანესია მოსწავლეებმა იცოდნენ რის მიხედვით აფასებს მათ მასწავლებელი, რამდენად მნიშვნელოვანია შე-

ფასების პროცესში გაკვეთილზე გამოვლენილი კრიტიკული აზროვნების უნარები. მასწავლებელმა თავის წლიურ გეგმაში უნდა ასახოს არა მხოლოდ შინაარსის შესწავლა, არამედ მოსწავლის მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარება. შესაბამისად ეს უნდა აისახოს მის შეფასებაშიც. როდესაც მოსწავლეებმა იციან, რომ მასწავლებელი მათ აფასებს არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტების ცოდნის გამო, არამედ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების მიხედვით, მათი მოტივაცია, მეტი დრო დაუთმონ კრიტიკულ აზროვნებას, გაიზრდება.

თუ მოსწავლეები ნახავენ, რომ მასწავლებელი მაღალ შეფასებას წერს, როდესაც მოსწავლემ ლექსი ზეპირად ისწავლა, მაგრამ არ აინტერესებს იმ მოსწავლის აზრი, ვინც ლექსი არ იცის ზეპირად, მაგრამ შეუძლია მისი საფუძვლიანი ანალიზი, საკუთარი აზრების თანმიმდევრულად გადმოცემა და მათი დასაბუთება, მაშინ ისინი ეცდებიან დიდი დრო დაზეპირებას დაუთმონ და ნაკლები დრო ლექსში მოცემული პრობლემების გააზრებას.

თუ ისტორიის მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ იცოდეს რა გადმოგვცა ამა თუ იმ ისტორიკოსმა ისტორიული მოვლენის შესახებ და ნაკლებ მნიშვნელოვანია თავად მოსწავლე რას ფიქრობს კონკრეტულ წყაროზე, მაშინ მოსწავლეები თავს არ შეიწუხებენ ფიქრით და მხოლოდ ზედაპირულად ინფორმაციას შეისრუტავენ.

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საკმარისი დრო და საშუალება, რომ თვითონ ამოხსნან, გაარკვიონ, გზა გაიკვალონ. ნებისმიერი გაკვეთილი, რომელიც ამ პროცესს გვერდს აუვლის და მოსწავლეებს მზამზარეულ ინფორმაციასა და პასუხებს მიაწოდებს, სწავლის ილუზიაა.

მასწავლებლის მთავარი ამოცანაა შექმნას ისეთი გარემო, დაგეგმოს ისეთი გაკვეთილი, გამოიყენოს ის სასწავლო აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს აზროვნების საშუალებას აძლევს. სხვა შემთხვევაში რთულია მოსწავლეებში განავითარო კრიტიკული აზროვნება. სხვა შემთხვევაში მათ შეიძლება იცოდნენ მაგალითად ის, რომ დედამიწა ბრუნავს, მაგრამ არ იცოდნენ რატომ.

მასწავლებლებმა დიდი დრო უნდა დაუთმონ პრობლებემზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც გულისხმობს რეალური ცხოვრებისეული პრობლემების ანალიზის საფუძველზე სასწავლო მიზნებზე გასვლას. მაგალითად, შეიძლება მოსწავლეებს ასწავლოთ ზღვის წყლის შემადგენლობა და ის თუ რა ზეგავლენას ახდენს იგი ადამიანის შინაგან ორგანოებზე, მაგრამ ამ გზით წარმართული სასწავლო პროცესი ვერ მისცემს მოსწავლეების აზროვნებას გასაქანს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს, მასწავლებელი მოსწავლეს პრობლემას წარუდგენს: *ზღვაში ავდარმა გემი ჩაძირა, ერთი კაცი ხის ნაფოტს ჩაეჭიდა და გადარჩა, მან ხმელეთამდე მიაღწია. გადარჩენილ კაცს წყალი მოსწყურდა. რას ურჩევდით: დალიოს თუ არა ზღვის წყალი?* (Critical Thinking Community).

დამატებით გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა დიდი ნაწილი ერთ-ერთ კრიტიკული აზროვნების გზამკვლევშია მოცემული (Paul and Elder 2000):

- ნაკლები ისაუბრეთ, მოსწავლეებს მიეცით მეტი საუბრის საშუალება.
- მოსწავლეებს წარუდგინეთ ცნებები და მათი გამოყენების კონტექსტი, წაახალისეთ მათი აზროვნება რეალური პრობლემების გადასაჭრელად.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება უნდა მოხდეს ყველა ძირითადი აქტივობის დროს: წერის, კითხვის, საუბრისა და მოსმენის პროცესში. გამოიყენეთ კრიტიკული კითხვის, წერის, საუბრისა და მოსმენის სპეციფიური სტრატეგიები.
- შეეცადეთ მოსწავლეებს აჩვენოთ ხმამაღლა ფიქრის მაგალითი. ამასთანავე ეცადეთ იფიქროთ არა ძალიან სწრაფად, როგორც ზოგ პროფესიონალს სჩვევია, არამედ ისე, როგორც იფიქრებდა კარგი მოსწავლე.
- ხშირად გამოიძახეთ მოსწავლეები, რომლებიც არ წევენ ხელს, სთხოვეთ სხვა მოსწავლეს შეაჯამოს, თუ რა უპასუხა კითხვაზე მოსწავლემ (ამით აქტიურ მოსმენას შეამოწმებთ).
- რეგულარულად აწერინეთ ბავშვებს, გააცანით შეფასების

სტანდარტები, სთხოვეთ შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი ამ სტანდარტების გამოყენებით.

- ხშირად ჩაატარეთ ჯგუფური მუშაობა, სამუშაოს დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს წარმოადგინონ მცირე მოხსენება ჯგუფური სამუშაოს შესახებ (ვინ რა ნაწილი შეასრულა, რა პრობლემა წამოიჭრა და როგორ გადაჭრეს).
- აუხსენით მოსწავლეებს თქვენი მეთოდების შესახებ, რატომ ასწავლით ასე, რატომ არ აძლევთ მზა პასუხებს, უთხარით, თუ რატომ არ მუშაობს დაზეპირება, რა სტრატეგიები გაქვთ იმისთვის, რომ ხელი შეუშალოთ საგნის ზედაპირულად შესწავლას.
- თქვენი მოსწავლეები შეცდომებს დაუშვებენ, შეუქმენით მათ კომფორტული გარემო, სადაც შეცდომების გამო თავს უხერხულად არავინ იგრძნობს და შეცდომის დაშვების არ შეეშინდებათ. შედეგად უფრო თამამად გამოთქვამენ მოსაზრებებს, უფრო გაბედულები იქნებიან და შეცდომებზეც ისწავლიან.
- კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად მნიშვნელოვანია ზეპირი საუბრები. წერისა და მოსმენის დროს არ არის აუცილებელი ინფორმაციის სწრაფად გადამუშავება და მასზე პასუხის გაცემა, ზეპირი საუბრისას კი ეს აუცილებლობას წარმოადგენს. ამ დროს არ გვაქვს საშუალება ბევრი ვიფიქროთ, წავშალოთ ჩვენი ტექსტი და სხვაგვარად ჩამოვაყალიბოთ (Zwiers and Crawford 2011) საუბრები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სწრაფად უპასუხონ მოულოდნელ კითხვებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეები, ხმამაღლა გამოთქვან და მიიღონ კრიტიკა, კონტრარგუმენტი თუ შეფასება.
- თუ როგორ აფასებთ მოსწავლეებს, მნიშვნელოვნად იმოქმედებს იმაზე, რამდენად საჭიროდ ჩათვლიან ბავშვები მეტი დრო დაუთმონ კრიტიკულ მსჯელობასა და აზროვნებას. ამიტომ მოსწავლეს ხშირად შესთავაზეთ ისეთი ამოცანები, რაზეც მუშაობა კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს, შეფასების რუბრიკებში ყოველთვის ასახეთ კრიტიკული აზროვნება და მისი კონკრეტული გამოვლინებები (კარგი არგუმენტის მოძიება, კონტრარგუმენ-

ტის მოყვანა, პრობლემის მრავალმხრივი განხილვა/შეფასება და მისი გადაჭრის გზის დასახვა, პოზიციის დასაბუთება, ავტორიტეტების აზრების არ მიღება განსჯის გარეშე, დ.ა.შ.)

იმისათვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს იაზროვნონ კრიტიკულად, შეამოწმეთ შედგება თუ არა მათი აზროვნების პროცესი შემდეგი ელემენტებისგან.

1. მიზანი - რისი მიღწევა მინდა?
2. პრობლემა - რა პრობლემა უნდა გადავჭრა?
3. ინფორმაცია - რა ინფორმაცია მჭირდება და საიდან შეიძლება მოვიპოვო?
4. იდეა და ცნება - რა ძირითადი ცნებები უნდა ვიცოდე და როგორ გამოვიყენო?
5. დასკვნა და ინტერპრეტაცია-რა დასკვნის გაკეთება შემიძლია?
6. არგუმენტები - რა არგუმენტები მაქვს ჩემი დასკვნის გასამყარებლად?
7. კონტრარგუმენტები - რა კონტრარგუმენტი შეიძლება მოიყვანონ ჩემი დასკვნის გასაბათილებლად?
8. არაკრიტიკულობა - ხომ არ ვიღებ ცნების, ფაქტისა და მოვლენის მხოლოდ ზედაპირულ მნიშვნელობას? ხომ არ არის რამე, სადაც კითხვები უნდა დამესვა, მაგრამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მივიჩნიე?
9. შედეგი - რა შედეგამდე მივყავარ ჩემს აზრებს?
10. რა მოსაზრებიდან გამოვდივარ? სხვა მოსაზრებაზეც ხომ არ უნდა დავფიქრდე?

ენა

კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორ ფლობს მოსწავლე სასაუბრო ენას, რამდენად ნათლად შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა,

სხვისი აზრებისა და არგუმენტების გაგება და შეჯამება. ხშირია შემთხვევები, როდესაც გვხვდება დამაბნეველი, ორაზროვანი ტერმინები და ფრაზები, რაც ართულებს არგუმენტის გააზრებასა და შესაბამისად მის შეფასებას (Thomson, 2002). ზოგჯერ ეს სპეციალურად შეიძლება ხდებოდეს, რათა ორაზროვნებით გამყარდეს არამყარი არგუმენტი. ზოგჯერ კი იმის გამო, რომ ავტორები ვერ ამჩნევენ ამ ორაზროვნებას.

ასეთ შემთხვევაში, თუკი წინადადებას ორაზროვანი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა ტექსტში ვიპოვოთ სხვა მიმანიშნებლები, რომლებიც დაგვეხმარება გავარკვიოთ, რა მნიშვნელობით იქნა ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა ნახმარი, მეორე ვარიანტი კი არის ის, რომ არგუმენტში შევაფასოთ ფრაზის ორივე მნიშვნელობა ცალ ცალკე.

რაც შეეხება სხვისი არგუმენტის შეჯამებას, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ვასწავლოთ როგორ გამოიცნონ ძირითადი დასკვნა და შემდეგ ის ძირითადი მტკიცებულებები, რითაც ავტორი ამყარებს ამ დასკვნას. ეს მტკიცებულებები შეიძლება იყოს ან ჩვეულებრივი წინაპირობა, ან სხვა წინაპირობებისაგან მიღებული მეორადი დასკვნა. მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე არ დავიწყოთ იმის გამოძიება, რამდენად მყარია ეს მეორადი დასკვნა.

მასწავლებლების მიერ შექმნილი აქტივობები

მიუხედავად იმისა რომ განათლების სპეციალისტები და სფეროს მცოდნეები ამბობენ, რომ კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია და უნდა ვასწავლოთ, ხშირად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ძნელია გაარკვიოს, როგორ განავითაროს მოსწავლეებში ეს უნარი, საიდან უნდა დაიწყოს და რა კონკრეტული გზები უნდა დასახოს.

მსგავსი პრობლემის წინაშე დადგა ორი ბიოლოგიის მასწავლებელი კალიფორნიიდან (Bissell and Lemons 2006).

ისინი, ისევე როგორც მასწავლებლების უმეტესობა, სასწავ-ლო გეგმებში წერდნენ, რომ კრიტიკული აზროვნება ერთ-ერთი მათი სასწავლო მიზანი იყო, თუმცა რეალურად არ ასწავლიდნენ მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას.

მათი აზრით, ამის ერთი მიზეზი კრიტიკული აზროვნების შეუთანხმებელი განმარტება იყო, მეორე კი კრიტიკული აზ-როვნების შეფასების სირთულე. იმის მიუხედავად, რომ დღეს არსებობს კრიტიკული აზროვნების შესაფასებელი ტესტები, ისინი არ არიან კონკრეტულ საგანზე მორგებული, მასწავლებ-ლებს კი არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ სხვა ტექსტები შეიტანონ კლასში, რადგან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შინაარსი უნდა ასწავლონ.

ამ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს ეს პრობლემა თავად მოეგვარებინათ. მათ გამოიყენეს ბლუმის ტაქსონომია.

მასწავლებლები ყვებიან, რომ დასხდნენ და იფიქრეს, რა იყო მათი მიზანი, რას უნდა მიეღწიათ საგნის შინაარსისა და კრიტი-კული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით. შემდეგ კარგად აუხსნეს მოსწავლეებს რა უნდა გაეკეთებინათ, რომ წარმატები-სთვის მიეღწიათ. მათ გადახედეს გაკვეთილზე მათ მიერ დასმულ კითხვებს, შეფასების რუბრიკას. შეიმუშავეს ახალი კითხვები და შეფასების რუბრიკები და გააცნეს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა უკეთესად გაიგეს, რა ტიპის კითხვებს დაუსვამდა მათ მასწავლე-ბელი და როგორი უნდა ყოფილიყო კარგი პასუხი. შრომამ ნაყო-ფი გამოიღო, მათ გაიუმჯობესეს ფიქრისა და მეტაკოგნიციის უნარები. ბევრი მოსწავლე ამბობდა, რომ მანამდე არ ესმოდა რას ნიშნავს კრიტიკულად ფიქრი, მაშინაც კი, თუ მასწავლებელი ამას ითხოვდა, რადგან არასდროს უნახავთ თუ რას ნიშნავს ასე აზროვნება. გთავაზობთ ამოცანას, რომელიც ამ მასწავლებლებმა მათი განახლებული გაკვეთილისათვის გამოიყენეს:

ბუნებისმეტყველება

როგორ ხდება ინფორმაციული რიბონუკლეინის მჟავას (ი-რნმ) გადაადგილება ბირთვულ მემბრანაში?

შეფასების რუბრიკა: მასწავლებელმა უნდა შეაფასოს, როგორ იციან მოსწავლეებმა ინფორმაციული რიბონუკლეინის მჟავა (ი-რნმ) და ციტოპლაზმაში მისი გადაადგილების მექანიზმი. ასევე უნდა შეფასდეს მათი კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც გულისხმობს ამ ცოდნის შესაბამის გამოყენებას, დავალებაში მოცემული ორი სქემის/სცენარის შემოწმებას და ი-რნმ-ს ბირთვიდან ციტოპლაზმისკენ გადაადგილების შესახებ დასკვნის შემუშავებას.

მოსწავლეთა სრულყოფილი პასუხები უნდა შეიცავდეს საკითხის შესახებ შემდეგ ცოდნას:

- რიბონუკლეინის მჟავა არის მოლეკულა, რომელიც შეიცავს ფოსფატების ჯგუფს;
- ორშრიანი ლიპიდები ჰიდროფობური ნივთიერებები არიან (ლიპიდების ჰიდროფობური ჯგუფების მითითება საჭირო არ არის)
- ორშრიანი ლიპიდი დიფუზიით ვერ **გაატარებს ი-რნმ-ის მოლეკულას**.

ეუკარიოტებში ინფორმაციული რნმ(ი-რნმ) გაივლის ბირთვის მემბრანაში, რომელიც არის ორმაგი ლიპიდური შრე. შემდეგ გადადის ციტოპლაზმაში, რათა მოახდინოს ტრანსლაცია ცილის სინთეზისთვის. გაიხსენე რა იცი ი-რნმ-ს სტრუქტურისა და ბირთვის ორმაგი ლიპიდური შრის შესახებ, აირჩიე სურათი,რომელიც შეესაბამება ი-რნმ-ს მოძრაობას და დაასაბუთე შენი არჩევანი.



მოსწავლემ უნდა მიიღოს ორიდან ერთი გადაწყვეტილება:
ა) ი-რნმ-ს მიერ ბირთვის მემბრანის დიფუზური გავლა.
ბ) ი-რნმ-ს გავლა ბირთვის მემბრანის ცილოვან არხებში.
სწორი პასუხია ბ)

1. წყარო: A new Method in Assessing Critical Thinking in the Classroom. BioScience. January 1,2006. Bissell, Ahrash N; Lemons, Paula P.

მათემატიკა
ავტორი: მაიკლ დისპენზიო
სამზარეულოს ჭიქები

წარმოიდგინეთ, რომ გსურთ გაზომოთ რამდენი წყალი ჩადის ერთ ჭიქაში. სამზარეულოში კი გაქვთ ორი ჭურჭელი, ერთი იტევს სამ ჭიქა წყალს, მეორე კი 5 ჭიქას. როგორ გამოიყენებთ ამ ორ ჭიქას იმისათვის რომ გაზომოთ ზუსტად ერთი ჭიქა წყალი?



პასუხი

აავსეთ სამ ჭიქიანი კონტეინერი წყლით. გადაასხით ხუთ ჭიქიან კონტეინერში. ისევ აავსეთ სამ ჭიქიანი კონტეინერი და აავსეთ ხუთ ჭიქიანი კონტეინერი. ამ შემთხვევაში სამ ჭიქიან ჭურჭელში ზუსტად ერთი ჭიქა წყალი დარჩება.

დავფიქრდეთ შემდეგზე:

რატომ ავითარებს ეს ამოცანა კრიტიკულ აზროვნებას?

იქნებოდა თუ არა ეს ამოცანა კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი, თუკი ხუთ და სამ ჭიქიან კონტეინერების ნაცვლად გვექნებოდა ხუთ და ორ ჭიქიანი კონტეინერი და ისევ ერთი ჭიქა წყლის გაზომვა იქნებოდა საჭირო? რატომ?

მათემატიკის კლასიკური ამოცანა

წარმოიდგინეთ, რომ ოთახში 4 ადამიანია. თუკი ყველა ერთმანეთს ერთხელ ჩამოართმევს ხელს, რამდენი ხელის ჩამორთმევა შეიძლება დავთვალოთ? ასი კაცი რომ იყოს ოთხის ნაცვლად? (Faculty and Staff Voices 2010)

პასუხი: თუ ოთახში 4 ადამიანია, თითოეული ხელს ჩამოართმევს დანარჩენ 3 ადამიანს. ამიტომ ოთხს ვამრავლებთ სამზე. თუმცა აქ ჩაითვლება ხელის ჩამორთმევა ყველა წყვილს შორის ორჯერ, ამიტომ ოთხისა და სამის ნამრავლი უნდა გავყოთ ორზე. ასევე შეიძლება პასუხი გამოვსახოთ სქემატურად თითოეული ადამიანის მიერ ჩამორთმეული ხელის რაოდენობის დათვლით.

ა. ადამიანი ართმევს ხელს 3 ადამიანს.

ბ. ადამიანი ართმევს ორ ადამიანს, რადგან მან უკვე ჩამოართვა ხელი ა-ს

გ. ადამიანი მხოლოდ ერთ ადამიანს ართმევს ხელს

ეს ფორმულა რამდენიმენაირად შეიძლება გამოვსახოთ

$4\times3/2$ ან, $3 + 2 + 1 = 6$ ან, $n (n-1)/2$

მათემატიკა

ავტორი: ნელი ნასყიდაშვილი

გაანაწილეთ თანაბრად

1) 5 ერთნაირი ვაშლი თანაბრად უნდა გავუნაწილოთ რვა ბავშვს. გაჭრების რა უმცირესი რაოდენობით შეიძლება მოვახერხოთ ეს ?
2) 13 ერთნაირი ზომის საზამთრო უნდა გავყო 42 თანაბარ პორ-ციად. როგორ გავაკეთოთ ეს, თუ არცერთ საზამთროს არ გავჭრით 7-ზე მეტ ნაწილად ?

შესაძლოა ორივე ამოცანა ასეთივე თანამიმდევრობით იყოს განხილული მოსწავლეებთან. ამოცანების ამოხსნის შემდეგ კი მოვახდინოთ ამ ორი ამოცანის ერთმანეთთან შედარება:

- რა აქვთ მსგავსი
- რა აქვთ განსხვავებული
- შესაძლებელია თუ არა რაიმე დასკვნების გაკეთება?
- ანალოგიური ამოცანების ამოხსნისას შემიძლია თუ არა აქ მიღებული გამოცდილების გამოყენება ?
- აუცილებელია ვაშლებისა და საზამთროს მოტანა, მათი დაჭრა, თუ მოდელირებითაც შეგვიძლია ამ ამოცანების ამოხსნა?

და ა. შ. ყოველი სამუშაოს დასრულების შემდეგ მნიშვნელოვა-ნია გარკვეული შემაჯამებელი პროცესის განხორციელება, რომ-ლის დროსაც ხდება გავლილი სააზროვნო ეტაპების გახსენება, თანამიმდევრული აღდგენა, კონტრ სიტუაციების მოტანა.

2. **პასუხი**

- 4 ვაშლიდან თითოეული გაიჭრას შუაზე, მიიღება - 8 ნაჭერი (თითოეულ მოსწავლეზე 1 ნაჭერი), ეს 4 გაჭრაა
- 1) დარჩენილი 1 ვაშლი გაიჭრას შუაზე, შემდეგ თითოეული ნაჭერი კიდევ 2-ჯერ შუაზე, სულ 7 გაჭრა და 2) დარჩე-ნილი 1 ვაშლის 3-ჯერ გაჭრით (ვაშლს თუ წარმოვიდგენთ

წრის სახით და დიამეტრზე განვახორციელებთ გაჭრებს: შუაზე, კიდევ შუაზე და კიდევ შუაზე). ორივე შემთხვევაში მიიღება ვაშლის მერვედი, მაგრამ: 1 შემთხვევაში გაჭრების რაოდენობაა 7, ხოლო მე-2 შემთხვევაში - 3.

- ერთ შემთხვევაში გაჭრების მინიმალური რაოდენობაა - 11, ხოლო მეორე შემთხვევაში - 7.
- თითოეულ ბავშვს შეხვდება ვაშლის ნახევარი და კიდევ ვაშლის მერვედი.
- თუ შეკითხვაა : რამდენი ვაშლი შეხვდება თითოეულ მოსწავლეს ?

მაშინ პასუხი ცალსახაა: თითოეულს შეხვდება ვაშლის ნახევარი და კიდევ ვაშლის მერვედი.

ხოლო თუ შეკითხვაა: გაჭრების რა უმცირესი რაოდენობაა საჭირო 5 ვაშლი რომ თანაბრად გავუნაწილოთ 8 ბავშვს? პასუხები შესაძლოა იყოს სხვადასხვა (ამ შემთხვევაში ორნაირი) გამომდინარე ბავშვების მიდგომებიდან და წარმოდგენებიდან, ერთ შემთხვევაში ის ტოლია - 11-ის, ხოლო მეორე შემთხვევაში -7-ის.

ამ ორი შესაძლო პასუხიდან ერთ-ერთის ამორჩევა შესაძლებელი იქნება პირობაში გარკვეული შეზღუდვის/არშეზღუდვის შემოღებით. ამ შემთხვევაში, რადგან შეზღუდვა არ გვაქვს, ამიტომ გამართლებული იქნება გაჭრების მცირე რაოდენობის პასუხად ჩათვლა

შენიშვნა: თუმცა მოსწავლეები ნაკლებად იყენებენ ანალოგიებს და პასუხად ჩათვლიან ხოლმე 11-ს.

2. პასუხი

1) 6 საზამთროდან თითოეული გავჭრათ 7 ნაწილად, ხოლო დანარჩენი 7 საზამთრო გავჭრათ 6 ნაწილად, მიიღება ერთნაირი მოცულობის 42 ნაწილი და 42 ნაწილი მეორე მოცულობის
2) თითოეული მოსწავლე მიიღებს ამ ორნაირი ნაჭრებიდან თი-

თო-თითო ნაჭერს (13/42 = 1/7 + 1/6 -- ცამეტი ორმოცდამეორედი ტოლია ერთ მეშვიდედს დამატებული ერთი მეექვსედი).

შემდეგი კითხვები შეიძლება გამოყენებული იყოს მათმატიკაში კრიტიკული აზროვნების უნარების გასავითარებლად (Teaching Science and Maths 2011).

- რა დამატებითი ინფორმაციაა საჭირო ამ ამოცანის ამოსახსნელად?
- როგრ უკავშირდება მონაცემები შენს მიერ მოპოვებულ პასუხებს/აღმოჩენებს?
- როგორ ამყარებს მტკიცებულებას, დასკვნებს
- როგორ უნდა დარწმუნდეთ, რომ ამოცანა სწორად ამოხსენით?
- როგორ შეადარებდით ამ ამოცანს სხვა ამოცანებს?
- არსებობს თუ არა ამოხსნის ალტერნატული გზები? რომელი?
- თუ ეს სწორია, კიდევ რა შეიძლება იყოს სწორი?
- რას გულისხმობთ ამ განცხადებაში?

****

- ამ კითხვას სხვანაირად როგორ დასვამდი?
- ამ ამოცანის ამოხსნისას რა ახალი ინფორმაცია გაიგე?
- არის თუ არა ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა ამ პრობლემის გადაჭრისას?
- რა კითხვას უნდა გასცეთ პასუხი მანამ, სანამ ამ კითხვას გასცემთ?
- ეს რას გულისხმობს?

ასეთი კითხვებით ეხმარებით მოსწავლეებს პასიური ფიქრიდან აქტიურ ფიქრის პროცესზე გადავიდნენ.

მასწავლებლი უნდა ეცადოს ისეთი კითხვები დაუსვას მოსწავ-

ლეებს, რომ პასუხები მარტივად ვერ იპოვონ ინტერნეტში:

- მოცემული მონაცემების გამოყებით ააგეთ გრაფიკი რომელიც გამოსახავს შედარებას სამ კონკურენტ მობილური ტელეფონების კომპანიებს შორის.
- გამოიკვლიეთ, რომ გაარკვიოთ, რა არის საუკეთესო მასალა ისეთი სახლის ასაგებად, რომელიც გაუძლებს ქარიშხალს.
- რომელიმე გეომეტრიულ ფიგურების გამოყენებით შექმენით თამაში.

(Teaching Science and Maths 2011)

ეკოლოგია

ჰკითხეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, მათი აზრით რა გავლენას მოახდენს სიგარეტის რეკლამის აკრძალვა სიგარეტის მწეველთა რაოდენობაზე. შემდეგ წარუდგინეთ ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, თუ აიკრძალება სიგარეტის რეკლამა, სიგარეტის მწეველთა რიცხვი გაიზრდება. მოსწავლეებს სთხოვეთ ვარაუდის შეფასება:

,,თუ სიგარეტის რეკლამა აიკრძალება, სიგარეტის მწარმოებლები დაზოგავენ იმ თანხებს, რასაც სხვა შემთხვევაში რეკლამისთვის გამოიყენებდნენ. ამრიგად, იმისათვის, რომ ერთმანეთთან კონკურენცია ჰქონდეთ, სიგარეტის ფასს დააგდებენ. შესაბამისად, სიგარეტის რეკლამის აკრძალვა გამოიწვევს სიგარეტის მწეველთა მომრავლებას (Thomson 2002, p.90).

კითხვები, რომლებიც შეგიძლიათ დამატებით დაუსვათ მოსწავლეებს: უშლის თუ არა ხელს სიგარეტის ამჟამინდელი ფასი ადამიანების უმრავლესობას მოსწიონ სიგარეტი? იმ ადამიანებს შორის ვისაც არასდროს მოუწევია, ძირითადად რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი (ჯანმრთელობა, თუ სიგარეტის ფასი?) სიგარეტის ფასი რომ დაეცეს, ეს უბიძგებს თუ არა მწეველებს უფრო მეტი მოსწიონ?

ისტორია

ავტორი: *რობერტ შვარცი, აზროვნების სწავლების ნაციონალური ცენტრის დირექტორი.*

მასწავლებელი მე-9 კლასელებს ასწავლის რევოლუციურ ომს, კერძოდ, როგორ იწყება რევოლუციები. მოსწავლეები წიგნში კითხულობენ: ბრიტანელ ჯარისკაცები, მასაჩუსეტში მიდიოდნენ, მათ კოლონისტებისთვის დაგროვილი იარაღი უნდა წაერთმიათ. ლექსინგტონში მათ კოლონისტების ჯგუფი შეხვდა. ბრიტანელებმა უბრძანეს დაშლილიყვნენ, მაგრამ კოლონისტები არ დაიშალნენ. ბრიტანელებმა ცეცხლი გახსნეს, რასაც რამდენიმე კოლონისტი ემსხვერპლა, დანარჩენები გაიქცნენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ნახა სხვა წიგნი, სადაც წერია, რომ ცეცხლი პირველად კოლონისტებმა გახსნეს და ბრიტანელებმა თავდასაცავად საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს.

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ გამოიძიონ, რომელია მართალი, რომელ წყაროს უნდა ენდონ. ერთ-ერთი გზა არის, რომ მოიძიონ რომელი უფრო სანდო წყაროა. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ საჭიროა შეისწავლონ როგორც პირველადი (ამ შემთხვევაში თვითმხილველები) ასევე მეორადი წყაროები. შექმნან ორივე წყაროსთვის კითხვების ჩამონათვალი. ამ კითხვებში შედის ისეთი კითხვებიც, როგორიცაა: რა გამოცდილება აქვს ავტორს? როგორი რეპუტაცია აქვს გამომცემლობას? როგორ იყო ინფორმაცია მოპოვებული? რასაც ავტორი ამბობს ვინმე სხვაც ადასტურებს? არიან თუ არა თვითმხილველები?

როცა მოსწავლეები ამას აკეთებენ, აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთ კითხვას შეუძლიათ პასუხი გასცენ, მაგრამ სამხილები სერიოზულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ისინი ასკვნიან, რომ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეუძლებელია ვთქვათ, თუ ვინ ისროლა პირველმა, ამიტომ სჯობდა წიგნის ავტორებს ეს სცენა

ასე აღეწერათ ,,დღემდე არავინ იცის ვინ ისროლა პირველად" და არ შეელამაზებინათ თავიანთი მონაყოლი დაუდასტურებელი მტკიცებულებებით. ამ შემთხვევაში მოსწავლეები თანხმდებიან, რომ საუკეთესო გამოსავალია თქვა ,,არ ვიცი."

ქართული ენა და ლიტერატურა

სიტუაცია მოგვაწოდა ნინო ბუთურიშვილმა

მე-10 კლასში, ვეფხისტყაოსნის შესწავლისას, ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა საკუთარი აზრი :"ამ პოემის გმირებს ისეთი ახლო ურთიერთობა აქვთ, შეუძლებელია სექსიც არ ჰქონოდათო"(იგულისხმება ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი).

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა; აშკარა იყო საშიშროება, თუ მასწავლებელი კითხვას უპასუხოდ დატოვებს, სხვა დროსაც იგივეს უნდა ელოდეს მისგან, თანაც მოსწავლეები ჩათვლიან, რომ მასწავლებელი უბრალოდ ვერ ფლობს სიტუაციას; თუ დატუქსავს, ეს ბავშვი ალბათ აღარასოდეს მოისურვებს საკუთარი აზრის გამოთქმას; კლასს გადახედა, რამდენიმე მოსწავლეს სახეზე შეატყო, თითქმის ეთანხმებოდნენ თანაკლასელს, ამიტომ ჩათვალა საჭიროდ ქვემოთ მოყვანილი აქტივობის დაგეგმვა;

მან მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ არგუმენტირებული ესსე? „ ექნებოდათ თუ არა ვეფხისტყაოსნის გმირებს ინტიმური ურთიერთობები". სთხოვა თვითონ აერჩიათ რომელი პოზიციის დაცვა სურდათ და ამის მიხედვით ჩართულიყვნენ შესაბამის ჯგუფში. ორი კვირის შემდეგ გაიმართებოდა დისკუსია; კონსულტაციისთვის, დამხმარე მასალებისთვის, შეეძლოთ მიემართათ მასწავლებლისთვის.

შედეგად არააქტიური მოსწავლეებიც გააქტიურდნენ, წაიკითხეს გარკვეული თავები პოემიდან, მოიძიეს არგუმენტები, კრიტიკოსთა წერილები. დისკუსიაში ჩაერთნენ.

ყველაზე მეტად კითხვის ავტორმა იაქტიურა და საბოლოოდ

ჯგუფთან ერთად გამოიტანა დასკვნა; მოსაზრება დარჩა მოსაზრებად, ხოლო არგუმენტები არ აღმოაჩნდათ ამ აზრის გასამყარებლად.

ჩემი აზრით, ეს კრიტიკული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მაგალითია. ამ დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, სიტუაციის გაანალიზება და მტკიცებულებების საფუძველზე მოსაზრების დასაბუთება ან შეცვლა, ახლის მიღება (სიტუაციის ავტორი).

ხელოვნება და მუსიკა

პაბლო პიკასოს ავინიონის დიაცები (Les Demoiselles d'Avignon)

ფოკუსი: ამ ტილოს ბევრი მიიჩნევს კუბიზმის მიმდინარეობის პირველ ნახატად. ზოგისთვის ერთი შეხედვით ნახატი შოკისმომგვრელია. ქალების ფიგურები ჩატეულია კუთხოვან და უხეშ ფორმებში.

აღმოჩენა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ: როგორ გამოავლინა პიკასომ კუბიზმის მახასიათებლები ამ ნახატში? ფორმების დაყოფა გეომეტრიულ ნაწილებად და შემდეგ მათი ,,არაბუნებრივი" აწყობა. საგნების მრავალმხრივ ფორმებად და ფიგურებად წარმოდგენა რომელიც გაფიქრებინებს, რომ ვერასდროს ხედავ ყველაფერს რაც უნდა დაინახო.

დამატებითი შეთავაზება: შეადარეთ პიკასოს კუბიზმის მიმდინარეობის ნახატები მისი თანამედროვის ჯორჯ ბრაკის ნახატებს. რა მსგავსებას და განსხვავებას ამჩნევთ? თქვენი აზრით, რატომ უკავშირებენ პიკასოს ასე ხშირად კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის (Oslon 2000, p. 99)?

მუსიკა

მოსწავლეებს მოასმენინეთ ბითლზის ,,**ჰეი ჯუდ**" (Hey Jude) **და** ,,**გუშინ**" (Yesterday) ფრანსუა გლორიეს (Francois Glorieux) შესრულებით.[3] ბითლზის ეს ორი ძალიან პოპულარული მელოდია

3 მელოდიები შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე www. youtube.com საძიებო ფრაზით Francois Glorieux Plays the Beatles.

შესანიშნავად გადააწყო და შეასრულა ფრანსუა გლორიემ.

ა. ,,გუშინ" შოპენის სტილშია

ბ. ,,ჰეი ჯუდ" არის ბახის სტილში

აღმოჩენა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ: ამ ორი მელოდიის მოსმენის შემდეგ, შეისწავლეთ ბახის და შოპენის სხვადასხვა მელოდიები.

ა. შეაფასეთ და დაასაბუთეთ ნამდვილად არის თუ არა გლორიეს მელოდიაში შოპენის სტილი?

ბ. ბახის სტილი?

გ. ამ ფორმით რა ფორმითაც მელოდიები ფრანსუა გლორიემ წარმოადგინა, ბითლზის მელოდიები ისევ და ისევ მხოლოდ პოპ მელოდიებად შეიძლება ჩაითვალოს?

დ. ეს ,,სერიოზული" მუსიკაა? შეიძლება იგი უფრო დიდ ფორმებში გადაიზარდოს? იგივე მოუვიდეს, რაც დაემართა ხალხურ მელოდიებს საუკუნეების მანძილზე (Oslon 2000, p. 102)?

სამოქალაქო განათლება
ავტორი: ქალინ რუსი

მასალა მოგვაწოდა გ. გახელაძემ, იგი მომზადდა თბილისში სკოლების დირექტორების, მასწავლებლებისა და მწვრთნელების ერთობლივ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაზე **„ვიცხოვროთ ერთად" - საგანმანათლებლო ინტერვენციის ზომები სკოლებში ინტერკულტურული თანაცხოვრების მხარდასაჭერად კრიზისის დროს"**

მიზანი	ანალიზის, შეფასებისა კრიტიკული აზროვნების და თანამშრომლობის უნარების განვითრება; ადამიანის დამოკიდებულებებზე მშვიდობის/ომის გავლენის გააზრება; საზოგადოების განვითარების კულტურულ საფუძვლებში კომუნიკაციის როლის განსაზღვრა; ნეგატიური სტერეოტიპების დაძლევა
თემა	ვისწავლოთ თუ არა რუსული ენა? * (თემა განპირობებული იყო საქართველოს სასკოლო სისტემაში ამ კონკრეტულ ეტაპზე არსებული აქტუალობით)
აუდიტორია	12 წელზე მეტი ნებისმიერი ასაკის მოსწავლეები, სტუდენტები, მსმენელები
ხანგრძლივობა	15-20 წუთი
საჭირო რესურსები	დიდი ზომის ფურცლები, დაფა, ფანქრები / მარკერები
მეთოდები	ჯგუფებში მუშაობა, დისკუსია
განხორციელების ინსტრუქციები	

<u>აქტივობა 1</u> - ჯგუფებში მუშაობა

მასწავლებელი შემთხვევითი პრინციპით ყოფს აუდიტორიას 2 ჯგუფად და წარუდგენს სიტუაციას: "წარმოიდგინეთ, რომ სასწავლო წლის დასაწყისია და მოსწავლეებმა კლასში უნდა გადაწყვიტონ, რომელი უცხო ენა/ენები შეისწავლონ. სკოლის გამოცდილება და უცხო ენების მასწავლებელთა შესაძლებლობები დღის წესრიგში აყენებს რუსული ენის შესწავლის საკითხს. მოსწავლეთა ნახევარს კატეგორიულად არ სურს რუსული ენის სწავლა, ხოლო მეორე ნახევარს დაბეჯითებით სურს." მასწავლებელი ერთ ჯგუფს არქმევს "მომხრეებს", ხოლო მეორე ჯგუფს "მოწინააღმდეგებს".

მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს სთავაზობს 5-7 წუთის განმავლობაში ერთობლივად ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის არაუმეტეს 10 არგუმენტი და შეთანხმდნენ, ვინ იქნება მთელი ჯგუფის წარმომადგენელი.

<u>აქტივობა 2</u> - დისკუსია

1-ლი აქტივობის დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი მთელი აუდიტორიისთვის თვალსაჩინო ადგილას მოიხმობს ჯგუფების არჩეულ წარმომადგენლებს. იგი სთავაზობს მათ 2-2 წუთის განმავლობაში წარმოადგინონ ჩამოყალიბებული არგუმენტები. მასწავლებელი აკონტროლებს, რომ წარმომადგენლებმა სრულად და ბოლომდე მოისმინონ ერთმანეთის მოსაზრებები, ხოლო მათი ჯგუფის წევრებმა საპირისპირო მხარის წარმომადგენელს არ შეაწყვეტინონ საუბარი. ამისათვის ჯგუფების წევრებს სთავაზობს, T-დიაგრამის სახით ჩამოწერონ საკუთარ ფურცლებზე თითოეული მხარის არგუმენტები.

<u>აქტივობა 3</u> - ჯგუფებში მუშაობა

ახლა მასწავლებელს "მომხრეების" ჯგუფის ნახევარი წევრები გადაჰყავს "მოწინააღმდეგეების" ჯგუფში, ხოლო ამ უკანასკნელის წევრთა ნახევარი - "მომხრეებში". ორ ჯგუფს იგი სთხოვს

კარგად გაანალიზონ მოსმენილი არგუმენტები და 5-7 წუთიანი განხილვის შედეგად ჩამოაყალიბონ შექმნილი პრობლემის მოგვარების გზები. ამასთან, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ სკოლის წესები დაცული იყოს და ამ წესებით არსებული შესაძლებლობებით კი დაკმაყოფილდეს კლასის მოსწავლეთა ინტერესები რუსული ენის სწავლასთან დაკავშირებით.

<u>აქტივობა 4</u> - დისკუსია

მასწავლებელი სთხოვს თითოეული ჯგუფის წარმომადგენელს, 2-3 წუთის განმავლობაში გააცნოს აუდიტორიას მათ მიერ მოძებნილი პრობლემის გადაჭრის გზები. წარმოდგენილ ვარიანტებს იგი წერს დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე. შემდეგ ეკითხება კლასს, რომელი ვარიანტი მიაჩნიათ ყველაზე მისაღებად, ოპტიმალურად.

კლასისათვის მისაღები გამოსავალის გამოვლენის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მონაწილეებს 3-5 წუთის განმავლობაში ერთმანეთს გაუზიარონ დასკვნები იმის თაობაზე, თუ რა გახდა საბოლოო ჯამში მიღწეული საერთო შეთანხმების საფუძველი.

მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და ხაზს უსვამს მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითად საფუძველს - ინტერესების დაცვისას მოლაპარაკებასა და შეთანხმებას. ამავე დროს მიუთითებს, რომ ამ პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია ნეგატიური სტერეოტიპებისგან გათავისუფლებაზე.

გეოგრაფია

ავტორი: *<u>მანანა რატიანი</u>*

აქტივობა გათვლილია საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებიც გადიან მსოფლიოს გეოგრაფიას.

აქტივობის მიზანია მოსწავლეებში განავითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი და ისეთი სპეციფიური უნარები როგორიცაა რუკის გამოყენება/გაანალიზება და კონტურული რუკის შევსება.

იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დააკავშირონ ერთმანეთს სხვადასხვა მონაცემები და გააკეთონ დასკვნები. ამავდროულად, მათ განუვითარდებათ ჯგუფში მუშაობისა და დისკუსიის უნარი, რაც ერთი გაკვეთილისთვის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

იმისთვის, რომ მიზანი მიღწეული იყოს, ჩვენ დაგვჭირდება რამოდენიმე რესურსი.

(1) ცხრილები, რომლებშიც მოცემულია უდიდესი და უმცირესი ქვეყნები ფართობების მიხედვით (ნახ.1 და ნახ.2), ასევე (2) კონტურული რუკა ინდივიდუალურად ყველა მოსწავლისთვის, (3) ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ნახ.3, ნახ.4) და რუკა, ქვეყნები მშპ-ს მიხედვით (ნახ.5), მსოფლიო პოლიტიკური რუკა კედელზეა გამოკრული, თუკი მათ დაჭირდებათ გამოყენება. კონტურული რუკა ჯგუფების რაოდენობიდან გამომდინარე.

ამის შემდეგ კლასს ვყოფთ ჯგუფებად კლასის ზომიდან გამომდინარე. დავალება არის 2 შინაარსის. ერთიდაიგივე შინაარსის დავალება ეძლევა 2-3 ჯგუფს, რათა შემდგომი განხილვა საინტერესო იყოს.

დავალება 1 - მოცემული ქვეყნები (ნახ.1 და ნახ.2), როგორც უდიდესი, ასევე უმცირესი ფართობის მიხედვით, ჯგუფებმა უნდა გამოსახონ კონტურულ რუკაზე შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, რათა უდიდესებიი და უმცირესები არ იყვნენ ერთგვაროვნად ასახულები. ამის შემდეგ შეადარონ ეს ქვეყნები მშპ-ს მიხედვით ქვეყნებს (ნახ.5) და იმსჯელონ კავშირზე ამ ორ მაჩვენებელს შორის. არის თუ არა პირდაპირი კავშირი ქვეყნების ტერიტორიის სიდიდესა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. დასკვნა შეუძლიათ წარმოადგინონ სასურველი ფორმით.

დავალება 2 - მოცემული ქვეყნები (ნახ.3 და ნახ.4), როგორც უდიდესი, ასევე უმცირესი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჯგუფებმა უნდა გამოსახონ კონტურულ რუკაზე შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, რათა უდიდესი და უმცირესები არ იყვნენ ერთგვაროვნად ასახულები. ამის შემდეგ შეადარონ ეს ქვეყნები

მშპ-ს მიხედვით ქვეყნებს (ნახ.5) და იმსჯელონ კავშირზე ამ ორ მაჩვენებელს შორის. არის თუ არა პირდაპირი კავშირი მოსახლეობის რაოდენობასა და მშპ-ს შორის. დასკვნა შეუძლიათ წარმოადგინონ სასურველი ფორმით.

15 წუთის გასვლის შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს და ამის შემდეგ მიმდინარეობს განხილვა, ა) რამდენად ახდენს გავლენას ქვეყნის სიდიდე ეკონომიკურ განვითარებაზე; ბ) რამდენად ახდენს გავლენას მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

ნახ.1 მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები ფართობის მიხედვით

ქვეყანა	**ფართობი (მლნ.კვ.კმ)**
რუსეთი	17,0
კანადა	9,9
ჩინეთი	9,6
აშშ	9,6
ბრაზილია	8,5
ავსტრალია 7,6	
ინდოეთი	3,2
არგენტინა	2,7
ყაზახეთი	2,7
ალჟირი	2,3
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	2,3
მექსიკა	2,0
საუდის არაბეთი	2,0
ინდონეზია	1,9
სუდანი	1,9
ლიბია	1,8

ირანი	1,6
მონღოლეთი	1,6
პერუ	1,3
ჩადი	1,3

ნახ. 2 მსოფლიოს უმცირესი ქვეყნები ფართობის მიხედვით

ქვეყანა	**ფართობი (კვ.კმ)**
ვატიკანი	0,44
მონაკო	1,96
ნაურუ	21
ტუვალუ	26
სან-მარინო	61
ლიხტენშტეინი	160
მარშალის კ-ები	180
სეიშელის კ-ები	217
სენტ-კიტსი და ნევისი	269
მალდივის კ-ები	298
მალტა	316
გრენადა	344
სენტ ვინსენტი და გრენადინი	389
ბარბადოსი	430
ანტიგუა და ბარბუდა	442
პალაუ	459
ანდორა	468
სენტ ლუსია	539
სინგაპური	699

ნახ.3 უმსხვილესი ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედ-ვით

ქვეყნები	**მოსახლეობის რიცხოვნება (მლნ)**
ჩინეთი	1,3 (მლრდ)
ინდოეთი	1,2 (მლრდ)
აშშ	313,2
ინდონეზია	237,6
ბრაზილია	192,4
პაკისტანი	178,9
ნიგერია	162,5
რუსეთი	143,0
ბანგლადეში	142,3
იაპონია	127,7
მექსიკა	112,3
ფილიპინები	94,1
ვიეტნამი	87,8
ეთიოპია	84,3
გერმანია	81,8
ეგვიპტე	81,6
ირანი	76,2
თურქეთი	74,7
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	67,7
ტაილანდი	65,9

ნახ.4 უმცირესი ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

ქვეყნები	**მოსახლეობა**
ვატიკანი	800
ტუვალუ	10000
ნაურუ	10000
პალაუ	21000

გიბრალტარი	29400
სან მარინო	32252
მონაკო	35881
ლიხტენშტეინი	36157
სენტ-კრიტსი და ნევისი	51970
მარშალის კუნძულები	54305
ანდორა	85015
ანტიგუა და ბარბუდა	89138
სეიშელის კ-ები	90945
სენტ ვინსენტი და გრენადინი	100892

ნახ.5 ქვეყნები მშპ-ს მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე
(მსოფლიო ბანკი 2010 წლის მონაცემები)



როგორ შევქმნათ კრიტიკულად მოაზროვნე სკოლა

მსოფლიოს წარმატებულ სკოლებსა თუ უმაღლეს დაწესებულებებში არსებობს სხვადასხვაგვარი პრაქტიკა. ზოგან კრიტიკულ აზროვნებას ასწავლიან როგორც ცალკე დისციპლინას, თუმცა უმეტესად მიიჩნევენ, რომ მისი ცალკე სწავლება ნაკლებ ეფექტურია, ვინაიდან მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ „რაღაცაზე" კრიტიკულად აზროვნება. ანუ მაშინ, როცა კრიტიკული აზროვნების სწავლება კონკრეტულ კონტექსტს არის მიბმული, მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებაზე უფრო ნათელი წარმოდგენა ექმნებათ (Cress and Donahue 2011).

სკოლაში ყველა მასწავლებელმა უნდა დასახოს მისი საგნის საბოლოო შედეგად მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება. ცხადია მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარების გაღვივებისათვის, თუმცა მასწავლებლის ცოდნისა და მონდომების მიუხედავად, მხედველობაშია მისაღები უფრო ფართო კონტექსტიც. მთავარი რამ, რაც მასწავლებლებს ხელს უშლის კრიტიკული აზროვნების დანერგვაში, უკავშირდება სკოლას და მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სკოლის კულტურა, სასწავლო მასალები, კურიკულუმის დაყოფა დისციპლინებად (Kraft 2000).

სკოლის ადმინისტრაციამ სკოლის მიზნები კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით ნათელი უნდა გახადოს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სკოლის თემისათვის. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, გამოიჩინონ ინიციატივა, მოიძიონ ახალი მასალები, წახალისებული უნდა იქნეს პოზიტიური რისკები. ასევე მნიშვნელოვანია სკოლის ბაზაზე მასწავლებლების შეფასება, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს კრიტიკული აზროვნების განვითარების კომპონენტს.

სკოლაში კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად მნიშვნელოვანია თემში ჩართულობის სწავლება (Service Learning). თემში ჩართულობის სწავლება გულისხმობს მოსწავლეების მიერ თემისათვის უსასყიდლოდ რაიმე მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელებას, მაგალითად ეს შეიძლება იყოს უმცროსკლასელი მოსწავლეებისთვის რეპეტიტორობა, ღარიბი ოჯახებისთვის დახ-

მარების შეგროვება, თემისთვის აქტუალური ეკოლოგიური პრობ-ლემის გადაჭრაზე მუშაობა.

თემში ჩართულობის სწავლებას წინ უძღვის რეფლექსიის პრო-ცესი, შემდეგ კონკრეტული ქმედება და შემდეგ ისევ რეფლექსია.

მაგალითად, საბაზო სკოლის მოსწავლეები შეიძლება ჩაერთონ პროექტში, რომელიც უსახლკარობას და სიღარიბეს ეხება. მასწავ-ლებელი დასაწყისისათვის მათ აცნობს მასალებს და მოსწავლეები აკეთებენ რეფლექსიას უსახლკარობასა და სიღარიბესთან დაკავ-შირებით, მათ გამომწვევ მიზეზებზე, იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ზიანი შეიძლება მოუტანოს ამან სახელმწიფოს, როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება დ.ა.შ. მო-სწავლეები მასწავლებელთან ერთად იკვლევენ, კრიტიკულად მსჯ-ელობენ იმ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანია მათთვის და საზოგა-დოებისათვის. მოსწავლეები ფიქრობენ არსებულ რწმენებზე, ღირებულებებზე, ვარაუდებზე, აკეთებენ თავიანთ დასკვნებს. შემდეგ ისინი ერთვებიან კონკრეტულ აქტივობაში, რომელიც შეი-ძლება გულისხმობდეს ადგილობრივ მოხუცთა თავშესაფარში მუშ-აობას მოხალისედ ან თემში ამ საკითხისადმი ცოდნის გაზრდაზე განხორციელებულ ღონისძიებებს.

მოსწავლეები ასეთი პროექტების მიმდინარეობის დროს სვა-მენ კითხვებს, რომლებიც საკმაოდ რთული საპასუხოა, პროექტები წარმოქმნიან დილემებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან, ძირითადად ამ კითხვებს არ გააჩნია ერთი სწორი პასუხი და მო-სწავლეებმა უნდა დაახარისხონ და შეაფასონ არსებული მტკიცებ-ულებები, გაარჩიონ ფაქტი და მოსაზრება და კარგად უნდა გაიაზ-რონ მრავალი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება.

დასკვნის სახით უნდა ავღნიშნოთ, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომლებიც უნდა განახორციელოს სკოლამ, მოითხოვს დროს, გამ-ძლეობას და შეცდომებზე სწავლას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილების შესახებ სკოლის ადმინისტრაციამ კარგად მოამზადოს საფუძველი, კარგად აუხსნას ყველას, რატომ არის იგი მნიშვნელოვანი, რათა ნაკლებ პრობლემებს წავაწყდეთ მისი განხორციელების პრო-ცესში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ჩვენი მცდელობა, შევცვალოთ რაღაც უკეთესობისკენ – წარმატებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ბაქრაძე, კოტე.* 1955. *ლოგიკა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*
2. Crawford Allan, Wendi E. Saul, Samual Mathews and James Makinster. 2005. *Teaching and Learning Strategies for the Thinking Classroom.* New York: The international Debate Educational Association.
3. The Atlantic. 10 Skills for the Future Workforce. June 16, 2011. http://www.theatlantic.com/21stCenturyEducation/archive/2011/06/10-skills-for-the-future-workforce-part-1-of-5/240601/ (10.12.12)
4. Hunter, David A. 2009. Practical Guide to Critical *Thinking: Deciding What to do and Believe*. New Jersey: John Wiley & Sons Inc.
5. Bickenbach Jerome and Jacqueline M. Davies. 1996. *Good Reasons for Better Arguments: An introduction to the Skills and Values of Critical Thinking.* Toronto: Broadview Press.
6. Murray, Robert M and Nebojsa Kujundzic. 2005. *Critical Reflection: A Textbook for Critical Thinking.* Quebec:McGill-Queen's University Press.
7. Weston Anthony. 2009. A Rulebook for Arguments. Indianapolis: Hackett Publishing Company.
8. Ennis, Robert H. 1987. A Taxonomy of Critical Thinking Dispositions and Abilities. In T*eaching Thinking Skills: Theory and Practice*; eds. Joan Boykoff Baron and Robert J. Sternberg. Freeman.
9. Ennis, Robert H. 2011. The Nature of Critical Thinking: An Outline of Critical Thinking Dispositions and Abilities. http://faculty.education.illinois.edu/rhennis/documents/TheNatureofCriticalThinking_51711_001.pdf (10.12.12)
10. Judge, Brenda, Elaine McCreery and Patrick Jones. 2009. Critical

Thinking Skills for Education Students. Padstow: TJ International LTD.

11. McMahon Daniel. September 27, 2011. Getting Specific about Critical Thinking. *Education Week*. (15.12.12.)

12. Edward M. Glaser . 1941. *An Experiment in the Development of Critical Thinking*. New York: Bureau of Publications, Teachers College, Columbia University.

13. Ennis, Robert. *1987.* Dispositions for Critical Thinking. *http://academic.pg.cc.md.us/~wpeirce/MCCCTR/dispos~1.html* (09.11.12)

14. Talbot, Marianne. 2010. The Nature of Arguments. http://www.youtube.com/watch?v=kBlQj5uiOXc&feature=g-vrec (27.10.12)

15. Lau Joe and Jonathan Chan.2004. Good Arguments. *Opencourseware on Critical Thinking Logic and Creativity.* http://philosophy.hku.hk/think/arg/goodarg.php. (12.12.12)

16. Critical thinkng Community. The Art of Redesining Instruction. http://www.criticalthinking.org/pages/the-art-of-redesigning-instruction/520 (08.010.12)

17. Paul Richard W. and Linda Elder. 1999. *Critical Thinking. Basic Theory and Instructional Structures Handbook.* Foundation for Critical Thinking.

18. Thomson Anne. 2002. *A Practical Introduction.* London: Routledge.

19. Michael Dispenzio. 1996. Critical Thiking Puzzles. http://mathforum.org/k12/k12puzzles/critical.thinking/puzz5.html (05.09.12)

20. Highbeem Business. 2006. A new Method in Assessing Critical Thinking in the Classroom. BioScience. January 1,2006. Bissell, Ahrash N; Lemons, Paula P. *http://business.highbeam.com/411908/article-1G1-140955004/new-method-assessing-critical-thinking-classroom (20.12.12)*

21. Faculty and Staff Voices. 2010. Critical Thinking in Mathematics.

http://enews.sfds.net/critical-thinking-in-mathematics-2/ (20.12.12)

22. Teaching Science and Maths. Resources and Strategies for Science and Math for K-12 Teachers. How To Encourage Critical Thinking in Science.*http://www.teachscienceandmath.com/2011/09/14/how-to-encourage-critical-thinking-in-science-and-math/ (20.12.12.)*

23. Cress M. Christine and DAvid M. Donahue. 2011. *Democratic Dilemmas of Teaching Service-Learning: Curricular Strategies for Success:* Sterling: Stylus

24. Kraft Nancy. 2000. *In Perspectives in Critical Thinking: Essays by Teachers in Theory and Practice.* New York: Peter Lang.

25. Oslon, Ivan. 2000. *The Arts and Critical Thinking in American Education*. Ed. Ralph A. Smith. Bergin & Garvey: Westport, CT.

26. Zwiers jeff and Marie Crawford. 2011. *Academic Conversations that Fosters Critical Thinking and Content Understandings.* Stenhouse Publishers

კრეატიულობის ოქროს წესი

მანანა ბოჭორიშვილი

მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას ადგილიდან დავძრავ... არქიმედეს ეს სიტყვები ყველა კრეატიული ადამიანისათვის დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება. **არქიმედემ დედამიწის დაძვრის შესაძლებლობა ხომ მაშინ დაუშვა, როდესაც ბერკეტის წონასწორობის პირობას მიაგნო. როგორც ამბობენ, აღმოჩენის შემდეგ არქიმედემ მისწერა სირაკუძის მეფე ჰიერონს: თუ სხვა დედამიწა მექნება, იქ გადავალ საცხოვრებლად და ამ დედამიწას ადგილიდან დავძრავო. არქიმედეს არ ჰქონდა სხვა დედამიწა, ამიტომ ვერ მოახერხა მამაცი იდეის განხორციელება. თუმცა მასზე უკეთ ბერკეტის წონასწორობის პირობის მეტაფორულად გადმოცემა ვერავინ შეძლო**. საუკუნეები გავიდა მაგრამ არქიმედეს ეს სიტყვები ყველა კრეატიული ადამიანისათვის დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება.

– რა არის კრეატულობა?
– რამდენად აისახება ამ უნარის ფლობა ადამიანის ქცევაზე?
– რა მექანიზმები უწყობს ხელს მის განვითარებას?

ფსიქოლოგებს შორის არ არსებობს კრეატულობის ტერმინის ერთნაირი განმარტება. მაგრამ არსებობს დებულება, რომლსაც ყველა მათგანი იზიარებს - კრეატულობა შაბლონური აზროვნების საწინააღმდეგო მიმართულებად ითვლება. ის თავიდან გვაცილებს ბანალურ და მარტივ იდეებს, ხელს უწყობს ორიგინალური გადაწყვეტილებების ძიებასა და დაბადებას.

ამ საკითხის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისას აღმოაჩენთ, რომ:

- ფსიქოლოგიაში კრეატულობა ხშირად შემოქმედებითი აზროვნების სინონიმად იხმარება;
- ამ ცნებაში იგულისხმება აზროვნების პროცესის შედეგად მიღებული ისეთი პროდუქტი, რომელიც სრულიად ახალია

პიროვნების ინდივიდუალური გამოცდილებისათვის ან საზოგადო ცოდნის დონისთვის;

- ტერმინი კრეატულობა მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან creation, რაც ნიშნავს „რაიმეს შექმნას“;
- კრეატულობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, შექმნას ახალი, ორიგინალური პროდუქტი თავისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- ეს არის არაშაბლონური აზროვნება, რომლის წყალობითაც პიროვნებას შეუძლია თითქოს ჩვეულებრივსა და გასაგებ სამყაროს მოვლენებში რაღაც უჩვეულო დაინახოს.

საყოველთაოდ აღიარებულია, კრეატულობა რომ არა, არ იარსებებდა უამრავი მეცნიერის გენიალური აღმოჩენა. მათ შეძლეს, რომ არსებულ ცოდნაში ნაკლოვანებები და დისჰარმონია დაენახათ და, აქედან გამომდინარე, დასვეს უმნიშვნელოვანესი კითხვა:

რატომ?..

კრეატულობა შემდგომ განვითარებას სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას პოვებს. შემოქმედებითი აზროვნების საშუალებით პროცესი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს და სხვადასხვა მკვლევარი მისი ფაზების განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ზოგადად შეიძლება გამოვყოთ შემოქმედებითი აზროვნების პროცესის შემდეგი ეტაპები:

1. **მომზადების ეტაპი** – განსაკუთრებით გონებრივი აქტივობის მდგომარეობა, რომელიც ახალი იდეის გაჩენის წინაპირობას წარმოადგენს;
2. **მომწიფების ეტაპი** – პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პერიოდი, წარმმართავი იდეის ინკუბაცია;
3. **შთაგონების ეტაპი** – ინკუბაციის შედეგად ცნობიერდება აღმოჩენა (ახალი მიმართებების უეცარი წვდომა);
4. **იდეის განვითარება** – იდეის საბოლოო ფორმულირება და შემოწმება;

რა განსაზღვრავს ადამიანის კრეატიულობას? რატომაა, რომ

ზოგიერთი ადამიანი უფრო მეტად კრეატიულია, ზოგი კი ნაკ-ლებად? ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ კრეატიული ადამიანები რაღაც იშვიათი და სხვებისთვის მიუწვდომელი შესაძლებლობე-ბით არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ეს ასე არ არის.

პედაგოგიკასთან, სწავლების მეთოდიკასთან მიმართებაში, კრეატიულობაზე საუბრისას საინტერესოა განვიხილოთ ის კო-რელაცია, რაც არსებობს მასწავლებლის კრეატულობასა და სწავლების მეთოდიკას შორის; ანუ საკითხი განვიხილოთ **პრაქ-ტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.**

მინდა ჩემი პრაქტიკის შესახებ გიამბოთ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში ქიმიას ვასწავლიდი. ძალიან მიყვარს ჩემი საგანი, ყოველთ-ვის ვცდილობ მოსწავლეებს საინტერესო ფორმით მივაწოდო საკითხები. მაგრამ არის ისეთი თემები, რომლის სწავლებაში პოზიტიური მუხტების ჩადება მიჭირდა. ყოველ წელს ხსნარების სწავლების შემდეგ უკმარისობის გრძნობა მქონდა. თავს ვიი-მედებდი, მომავალი წელს მაინც შევძლებდი ამ თემის სწავლე-ბაში პოზიტივის ჩადებას. მოხდა ისე, რომ საოცრად მოტივირე-ბული და ცნობისმოყვარე კლასი შემხვდა,... ხსნარების სწავლება ინტერაქტიური და ექსპერიმენტული მიდგომებით დავგეგმე, მაგრამ რაღაც სიახლე მაინც მჭირდებოდა.. ზარი დაირეკა, გაკვეთილი დაიწყო, რამდენიმე აქტივობის დასრულების შემ-დეგ ახალი მასალის ახსნა უნდა დამეწყო, დაფისკენ გავეშურე და უცებ ჩემს მაგიდაზე ლარნაკში ჩალაგებულ ყოჩივარდებს რომ შევხედე, მივხვდი - ვიპოვე... ვიპოვე ის, რასაც წლების მანძილზე ვეძებდი...

მოსწავლეებს მივმართე კითხვით:

- რატომ არ იყინებიან თოვლში ყოჩივარდები?

შეკითხვამ საოცარი ინტერესი გამოიწვია.. მცირე განმარტე-

ბებისა და დისკურსის შემდეგ ხსნარის და გამხსნელის ფიზიკური თვისებების შედარებითი ანალიზი და განხილვა დავიწყეთ, ჩავატარეთ ექსპერიმენტები...

შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეები თამამად მსჯელობდნენ:

- იმ მოვლენაზე, რომ მცენარეებს, რომელთაც აქვთ შაქრების სინთეზის უნარი, თოვლში არ ,,იყინებიან".
- რაც მეტია მცენარის უჯრედის წვენში შაქრის კონცენტრაცია, ხსნარი მით უფრო დაბალ ტემპერატურაზე იყინება...
- ყოჩივარდას, ენძელას და სხვა ადრემოყვავილე მცენარეების ყინვაგამძლეობა ამ მცენარეების უჯრედებში არსებული ხსნარების კონცენტრაციითაა განპირობებული..
- საუბრობდნენ "ანტიფრიზებზე" ნივთიერებებზე – რომლებიც გაყინვის ტემპერატურის დაწევას იწვევს.

ყველაზე შთამბეჭდავი კი ის ფაქტი იყო, რომ ერთ-ერთმა არცთუ ისე წარმატებულმა მოსწავლემ მის მიერ დაგეგმილი და ჩარტარებული საშინაო კვლევის შედეგები წარმოადგინა – ის დააკვირდა სხვადასხვა კონცენტრაციის მქონე შაქრიანი წყლის გაყინვის პროცესებს, წარმოადგინა შედეგები და გააკეთა დასკვნები.

წლები გადიოდა, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში სერიოზული გამოცდილება დამიგროვდა. საგაკვეთილო პროცესში ძირითადი აქცენტი ბუნებაში მიმდინარე პროცესების "მოდელირებაზე" გავაკეთე. ამ ყველაფერს კი კარგი კაბინეტ-ლაბორატორია სჭირდებოდა. გადავწყვიტე პროექტი დამეწერა და საგრანტო კონკურსში მივიღე მონაწილეობა. შედეგმაც არ დააყოვნა. ჩემი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი სათანადოდ აღიჭურვა; ბევრი შთამბეჭდავი გაკვეთილის ჩატარება შევძელი. ამ წლებში დაგროვილ გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია. 2008 წელს მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოზე დავიწყე მუშაობა. სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა გრიფირების პროცესი. ჩემს მიერ გაკვეთილზე გამოყენებული ,,ყოჩივარდების აქტივობა" სახელმძღვანელოში ასე ტრანსფორმირდა:

პრაქტიკული სამუშაო

ფოტოზე ჩანს, რომ ყოჩივარდას თოვლი და სიცივე ხელს არ უშლის რომ იყვავილოს.

რატომ?

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს ეს მცენარე თოვლში ყვავილობას შეეგუა, რადგან მისი ფოთლების, ყვავილების, ღეროსა და ბოლქვების წვენში შაქრისმაგვარი ნივთიერებაა გახსნილი.

ჩაატარე მცირე კვლევა.

აიღე ორი ერთჯერადი ჭიქა. ერთში ჩაასხი ჩვეულებრივი სასმელი წყალი, მეორეში შაქრიანი წყალი. შედგი მაცივარში. ჯყოველ 5 წუთში დააკვირდი და ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნე რამდენ ხანში გაიყინება თითოეულ ჭიქაში წყალი.

	5 წთ	10 წთ	15 წთ	20 წთ	25 წთ
წყალი					
შაქრიანი წყალი					

ექსპერიმენტის შედეგები დაუკავშირე ყოჩივარდას თოვლში ყვავილობას. გააკეთე დასკვნა შემოხაზე სწორი პასუხი.

1. რადგან ყოჩივარდას წვენი შეიცავს შაქრისმაგვარ ნივთიერებას, ამიტომ ის არ იყინება თოვლში.
2. ყოჩივარდას წვენი შაქრისმაგვარ ნივთიერებას რომ არ შეიცავდეს, მაინც არ გაიყინებოდა.

დღეს, როგორც განათლების სპეციალისტს, თავისუფლად შემიძლია თვალი მივადევნო ამ ნარატივში ჩემი, როგორც პედაგოგის აზროვნების პროცესს: როგორც ვხედავთ, აქ ძალიან საინტერესოა პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პროცესი. წლების განმავლობაში იმდენად მაწუხებდა ბუნებისმეტყველების შესწავლა ჩემი მოსწავლეებისთვის საინტერესო ყოფილიყო, რომ ჩემი გონება სულ მუშაობდა ამ პრობლემის გადასაჭრელად. ჩგარკვეული დროის გავლის შემდეგ კი მოულოდნელ სიტუაციაში მოვიდა შთაგონება იმ სწავლების მეთოდიკის სახით, რაც ზემოთ გიამბეთ.

და მაინც, რა მოხდა?

დავიწყოთ თავიდან:

1. **ყველაფერი** პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პროცესით დაიწყო (**მომზადების ეტაპი** — განსაკუთრებით გონებრივი აქტივობის მდგომარეობა, რომელიც ახალი იდეის გაჩენის წინაპირობას წარმოადგენს);

2. **შემდეგ დაიწყო პრობლემის გარშემო უზარმაზარი ძიებითი** მუშაობა; შედეგად პიროვნებაში განწყობის სახით ფორმულირდა ისეთი შინაგანი მდგომარეობა, რომლითაც ყველა გარეგანი შთაბეჭდილება პრობლემის გადაჭრის გარშემო შემოიკრიბა (**მომწიფების ეტაპი** — პრობლემაზე არაცნობიერი მუშაობის პერიოდი, წარმმართავი იდეის ინკუბაცია);

3. **შემდეგ პედაგოგმა შეიცვალა ამოცანისადმი ხედვა** და პრობლემურ სიტუაციას სტრუქტურა შეუცვალა, რადგან პრობლემის გადაწყვეტისათვის მთავარი ფუნქციური ნიშანი იპოვა (**შთაგონების ეტაპი** — ინკუბაციის შედეგად ცნობიერდება აღმოჩენა - ახალი მიმართებების უეცარი წვდომა);

4. **შემდეგ პედაგოგმა იდეა განახორციელა** ანუ მოხდა **იდეის განვითარება** — იდეის საბოლოო ფორმულირება, მისი ხორცშესხმა, განხორციელება და შემოწმება;

ახლა კი თვალი მივადევნოთ პროცესს: რამ განაპირობა, რომ

პედაგოგებმა კრეატიულად იმუშავეს?

მთავარი მიზეზი ისაა, რომ პედაგოგებმა შეძლეს ანალიტიკური, სინთეზური და პრაქტიკული უნარების გამოყენება და წონასწორობის დაცვა. **კრეატიული მუშაობა კი ანალიტიკური, სინთეზური და პრაქტიკული უნარების გამოყენებითა და მათ შორის წონასწორობის დაცვით მიიღწევა (Sternberg, 1985; Sternberg, lubart, 1995; Sternberg Williams 1996).**

შევეცადოთ თანმიმდევრულად განვმარტოთ თითოეული მათგანი: სინთეზური, ანალიტიკური და პრაქტიკული აზროვნება.

სინთეზური აზროვნების უნარი ისაა, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, კრეატიულობას ვუწოდებთ. ეს ახალი და საინტერესო იდეების წარმოშობის უნარია. ხშირად ადამიანი, რომელსაც კრეატიულს ვუწოდებთ, განსაკუთრებით კარგი სინთეზური აზროვნების უნარის მქონე პიროვნებაა, რომელიც საგნებს შორის ისეთ კავშირებს აღმოაჩენს, რომლებსაც სხვა ადამიანები სპონტანურად ვერ ხედავენ.

ანალიტიკური აზროვნების უნარს, ჩვეულებრივ, კრიტიკული აზროვნების უნარად თვლიან. ადამიანი, რომელსაც ეს შეუძლია, იდეების ანალიზსა და შეფასებას ახდენს. ყველას, თვით თქვენს ნაცნობ ყველაზე კრეატიულ ადამიანსაც კი, აქვს უკეთესი და უარესი იდეები. კარგად განვითარებული ანალიტიკური აზროვნების გარეშე, კრეატიულ ადამიანს ცუდი და კარგი იდეების დამუშავების თანაბარი შანსი ექნებოდა. ის ანალიტიკური აზროვნების უნარს იმისთვის იყენებს, რომ კრეატიული იდეის მნიშვნელობა შეაფასოს.

პრაქტიკული აზროვნების უნარი ადამიანს აძლევს საშუალებას, თეორია პრაქტიკად, აბსტრაქტული იდეები კი პრაქტიკულ მიღწევებად გარდაქმნას. პრაქტიკული უნარი პოტენციური აუდიტორიის მქონე იდეების გამოსაცნობადაც გამოიყენება.

მოცემული განმარტებების ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლოა შემდეგი რეალობა მივიღოთ - პიროვნებამ, რომელსაც

მხოლოდ სინთეზური აზროვნება შეუძლია, შეიძლება ინოვაციური იდეები გამოიმუშაოს, მაგრამ ისინი ვერ იცნოს, ან ვერ მოახერხოს მისთვის ახალი სტრუქტურის მიცემა. ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ანალიტიკური უნარები აქვს, შეიძლება სხვა ადამიანების იდეების ძალიანჯკარგი კრიტიკოსი იყოს, მაგრამ, სავარაუდოდ, კრეატიულ იდეებს თავად ვერ წარმოშობს. მხოლოდ პრაქტიკული უნარის მქონე ადამიანი, შესაძლოა, სხვისი იდეების არაჩვეულებრივი რეალიზატორი იყოს.

როგორც ვხედავთ, კრეატიულობის ოქროს წესი იმაში მდგომარეობს, რომ - ანალიტიკური, სინთეზური და პრაქტიკული უნარები გამოვიყენოთ და დავიცვათ მათ შორის წონასწორობა

აქედან გამომდინარე ნიშანდობლივია მივიღოთ პასუხი კითხვაზე როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრეატულობის განვითარებას?

მასწავლებელთა უმრავლესობას სურს, თავის მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ მასწავლებელთა უმრავლესობა არ არის დარწმუნებული, რომ მის მიერ შერჩეული სტრატეგია სწორია. გთავაზობთ **ოთხი სხვადასხვა მიმართულების** რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას, რომელთა გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს.

რჩევები შეიცავს სტრატეგიებს, რომლებიც ავითარებს მასწავლებლების და მოსწავლეების კრეატულობას.

რჩევები მასწავლებლებს

მასწავლებლის პოზიცია	მასწავლებლის ქმედება	მასწავლებლის შეფასება	რისი დაშვებაა აუცილებელი?
მისაბაძი მაგალითი	ეჭვით მოეპყარით ვარაუდებს	ასწავლეთ და შეაფასეთ კრეატიულად	დაუშვით ორაზროვნება
ეფექტურობა	ჩამოაყალიბეთ პრობლემები და ხელახლა განსაზღვრეთ ისინი	დადებითად შეაფასეთ კრეატიული იდეები და პროდუქტები	დაუშვით შეცდომები
განსხვავებული შეხედულებები	ხელი შეუწყვეთ იდეების წარმოშობას	წაახალისეთ გონივრული რისკი	ხელი შეუწყეთ თვითმოწესრიგებას
კრეატიული თანამშრომლობის ხელშეწყობა	დააკავშირეთ ერთმანეთთან იდეები და ახალი სიცოცხლე შთაბერეთ	ცოტა ხანს გადადეთ კრეატული იდეების შეფასება	აღიარეთ მოსწავლისა და საკლასო გარემოს ურთიერთკავშირი
კრეატიულობის ზრდის ხელშეწყობა	დაუთმეთ დრო კრეატიულ აზროვნებას	გამოუმუშავეთ მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობა	ხელი არ შეუშალოთ მოსწავლეთა აზარტს
კრეატიულობის უწყვეტი შენარჩუნება	დაადგინეთ და გადალახეთ წინააღმდეგობები	აქცენტი გააკეთეთ ძლიერ მხარეზე	შექმენით სტიმულის გამომწვევი გარემო

მისაბაძი მაგალითი

შესთავაზეთ მოსწავლეებს მისაბაძი მაგალითი. კრეატიულობის განვითარება ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც კრეატიული მასწავლებელი მოსწავლეებისთვის მისაბაძი მაგალითად იქცევა. ზრდასრულთა გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მათ ის მასწავლებლები ახსოვთ, რომელთა აზრები და ქცევები მათთვის სანიმუშო იყო.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს - ბავშვები კრეატიულობას მაშინ კი არ ივითარებენ, როცა მათ ამის შესახებ უყვებით, არამედ მაშინ, როცა მათ ამას აჩვენებთ. ალბათ, ყველაზე მეტად ამ დროსაა შენარჩუნებული წონასწორობა სასწავლო მასალასა და მის სწავლებას შორის.

- **ეჭვით მოეპყარით ვარაუდებს**

მასწავლებლებს შეუძლიათ, მოსწავლეებს ვარაუდების ეჭვქვეშ დაყენების მაგალითი უჩვენონ. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს აჩვენოს, რომ ის, რის ცოდნასაც ვარაუდობენ, სინამდვილეში, არ იციან. რა თქმა უნდა, მოსწავლეებმა ეჭვქვეშ ყველა ვარაუდი არ უნდა დააყენონ. ზოგიერჯერ ადამიანი იმდენ იდეას აყენებს ეჭვქვეშ და თანაც ხშირად, რომ სხვები მას სერიოზულად უბრალოდ აღარ აღიქვამენ. ჲყველამ უნდა ისწავლოს, რომელი ვარაუდის ეჭვქვეშ დაყენება ღირს და რომელ იდეას ან საკითხს უნდა დავუპირისპირდეთ.

- **ასწავლეთ და შეაფასეთ კრეატიულად**

მოსწავლეებს თუ მხოლოდ მრავალი პასუხის შემცველ ტექსტებს მისცემთ, ისინი მალევე შეიტყობენ იმ აზროვნების ტიპის შესახებ, რომელსაც თქვენ აფასებთ. თუ გსურთ, კრეატიულობას შეუწყოთ ხელი, დავალებებსა და ტესტებში კრეატიული აზროვნების განმავითარებელი კითხვები და სავარჯიშოები უნდა ჩართოთ. დასვით ისეთი შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემასაც ფაქტების ცოდნა, ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების გამოყენება სჭირდება. მაგალითად, შეგიძლიათ მო-

სწავლეებს სთხოვოთ კანონების შესწავლა, მათი ანალიზი და შემდეგ მათი გაუმჯობესების გზებზე ფიქრი.

- **დაუშვით ორაზროვნება**

ადამიანებს უყვართ შავ-თეთრი ამბები. მოგვწონს ვიფიქროთ, რომ ქვეყანა კარგია ან ცუდი, მოკავშირეა ან მტერი, მოცემული იდეა განათლების სფეროში გამოგვადგება, ან არ გამოგვადგება. პრობლემა ისაა, რომ კრეატიული მუშაობის სამყაროში ბევრი ნაცრისფერი ზონაა. ხელოვანები, რომლებიც ახალ ნახატზე მუშაობენ, ან მწერლები, როლებიც ახალ წიგნს წერენ, ხშირად ამბობენ, რომ დაბნეულები არიან, ან თავისი იდეების სისწორეში ეჭვი ეპარებათ. მათ უნდა გაარკვიონ, სწორ გზას ადგანან თუ არა.

ეფექტურობა

განავითარეთ მოსწავლეთა ეფექტურობა - ფაქტია, რომ ყველა მოსწავლეს აქვს უნარი, რაიმე შექმნას და ის სიხარული გამოსცადოს, რომელიც ახლის შექმნასთანაა დაკავშირებული. მოსწავლეებს აქვთ მცდარი წარმოდგენები საკუთარი შესაძლებლობების შესახებ. კრეატულობის ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასწავლებელის წამახლისებელი და გამამხნევებელი გზავნილები. მასწავლებლები და მშობლები უნებლიედ ზღუდავენ მოსწავლის კრეატულობას, თუ მათ პესიმიზმის შემცველ გზავნილებს აწვდიან.

- **ჩამოაყალიბეთ პრობლემები და ხელახლა განსაზღვრეთ ისინი**

კრეატიულ საქმიანობას იმით შეუწყვეთ ხელი, რომ თქვენს მოსწავლეებს პრობლემების განსაზღვრასა და პროექტების განვითარებაში. წაახალისეთ კრეატიული აზროვნება და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თავად აირჩიონ მოხსენების ან პრეზენტაციის საკითხები; გადაწყვიტონ, პრობლემის გადაჭრის რომელი გზა სჯობს და ხანდახან ხელახალი არჩევანი გააკეთონ, თუ აღმოაჩენენ, რომ მათი წინა არჩევანი შეცდომა იყო. ხანდახან ყველა ჩვენგანი უშვებს შეცდომებს პროექტის ან მისი განხორციელების გზების არჩევისას. უბრალოდ გახსოვდეთ, რომ კრეატიულობის მნიშვნელოვანი ნაწილი ანალიზთან და შეცდომის აღმოჩენის

სწავლასთან არის დაკავშირებული. მიეცით თქვენს მოსწავლეებს არჩევანის ხელახლა განსაზღვრის შანსი და შესაძლებლობა..

- **დადებითად შეაფასეთ კრეატიული იდეები და პროდუქტები**

მხოლოდ კრეატიულობის მნიშვნელობის შესახებ საუბარი საკმარისი არ არის. მოსწავლეები მიჩვეულნი არიან, რომ ძალაუფლების მქონე ადამიანები ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. ისინი ძალიან კარგად გრძნობენ მასწავლებლის ნათქვამს, როცა საქმე შეფასებას ან ნიშანს ეხება.

თუ მოსწავლეები კრეატიულად მუშაობენ, ისინი ჰოლისტურად უნდა შევაფასოთ. ასეთი შეფასება უფრო ეფექტურია, ვიდრე მოსწავლეების არაკრეატიული ნაშრომების გასწორება და ნიშნების დაწერა. გააფრთხილეთ თქვენი მოსწავლეები იმის შესახებ, რომ კრეატიულობის შეფასების აბსოლუტურად ობიექტური გზა არ არსებობს.

- **დაუშვით შეცდომები**

იაფად ყიდვა და ძვირად გაყიდვა სარისკო საქმეა. ბევრი იდეა უბრალოდ იმის გამოა არაპოპულარული, რომ ისინი კარგი იდეები არაა. სკოლები მოსწავლეებს ხშირად შეცდომებს არ პატიობენ. დავალებებში აღმოჩენილი შეცდომები ხშირად ცუდი ნიშნებით ფასდება. როდესაც თქვენი მოსწავლეები შეცდომებს დაუშვებენ, სთხოვეთ მათ, გაანალიზონ და განიხილონ საკუთარი შეცდომები. ხშირად შეცდომები ან სუსტი იდეები კარგ იდეებს ან სწორი პასუხების ჩანასახებს შეიცავს. იაპონიაში მასწავლებლები მთელი გაკვეთილის მანძილზე ეკითხებიან ბავშვებს მათემატიკურ აზროვნებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. მოსწავლეთა შეცდომებისა და მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა მასწავლებლისთვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობაა.

განსხვავებული შეხედულებები

სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობიდან და თანამშრომლობიდან მაქსიმალური შედეგის მიღება შესაძლებელია, თუ თავს ამ ადამიანების ადგილას წარმოვიდგენთ. ჩვენს თვალსაწიერს იმით ვაფართოებთ, რომ სამყაროს სხვა ხედვის წერტილიდან დანახვას ვსწავლობთ. ეს გამოცდილება ზრდის ჩვენს კრეატიულ

აზროვნებასა და წვლილს. ხელი შეუწყეთ თქვენს მოსწავლეებს სხვა ადამიანების თვალსაზრისის გააზრებასა და პატივისცემაში.

- **ხელი შეუწყვეთ იდეების წარმოშობას**

დგება დრო, როცა მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ ახალი იდეები, მოიძიონ პრობლემები ახალ იდეებში და მათი გადაჭრის გზებზე იფიქრონ. იდეების წარმოშობის გარემო კრიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს. შესაძლოა, მოსწავლეებმა ზოგი იდეა უკეთესად, ზოკი კი უარესად მიიჩნიონ, მაგრამ თქვენ არ უნდა იყოთ მკაცრი ან კრიტიკული მათ მიმართ. მიზნად დაისახეთ წარმოდგენილი იდეების კრეატიული ასპექტების განსაზღვრა, მათი ხელის შეწყობა. მოსწავლეებს არაკრეატიული იდეების მიმართ ახალი მიდგომების გამომუშავება შესთავაზეთ. შეაქეთ ისინი ბევრი იდეის ჩამოყალიბებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება თემისგან დაშორებული იყოს. მოუწოდეთ მათ, თავიანთი საუკეთესო იდეები მაღალი ხარისხის პროექტებად ჩამოაყალიბონ.

- **წაახალისეთ გონივრული რისკი**

კრეატიული ადამიანები რისკზე მიდიან, ისინი საზოგადოებას იდეების იაფად ყიდვითა და ძვირად გაყიდვით იწვევენ. ზოგჯერ ამ გამოწვევის გამო კრეატიული ადამიანი საზოგადოების გულისწყრომის საბაბი ხდება ხოლმე. მაგრამ არსებობს საზოგადოების გამოწვევის გონივრული და ნაკლებად გონივრული მიზეზები. კრეატიული ადამიანები გონივრულ რისკზე მიდიან. მათი იდეები სხვებს მოსწონთ და მათ, როგორც ახალი ტენდენციის დამფუძნებლებს, პატივს სცემენ. მიეცით მოსწავლეებს საშუალება დაიცვან საკუთარი იდეები, დაასაბუთონ მათი მართებულობა. ეს შესაძლებელია, თუ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართავთ სასკოლო პროექტებს და მოსწავლეებს საშუალებას მისცემთ დაასაბუთონ წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის გზის მართებულობა.

- **ხელი შეუწყვეთ თვითმოწესრიგებას**

მოსწავლეს ყველა კრეატიული პროცესის დროს ვერ დაეხმარებით. თქვენმა მოსწავლეებმა პროცესზე კონტროლი თავად

უნდა განახორციელონ. მას შემდეგ, რაც კრეატიულ პროდუქტებს შექმნიან, იგრძნობენ კრეატიულობის სიხარულს, მოსწავლეებს თვითმოწესრიგების სტრატეგიებიც გააცანით. აი, რამდენიმე რჩევა, რომლებიც მოსწავლეებს თვითმოწესრიგების პროცესში დაეხმარებათ.

მასწავლებლის რჩევები მოსწავლეებს:

1. ჩამოწერეთ დავალების რამდენიმე იდეა;
2. შეაფასეთ და განახორციელეთ კრეატიული იდეები;
3. დაიცავით თქვენი არჩევანი;
4. შეიმუშავეთ დავალების შესრულების გეგმა, გაითვალისწინეთ, სად და როგორაა შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება, როგორ დაასრულებთ პროექტს;
5. აღრიცხეთ ინფორმაცია ყოველდღიური პროგრესისა და წინააღმდეგობების შესახებ;
6. განიხილეთ დასრულებულ პროექტებზე მასწავლებლების მიერ მოწოდებული შენიშვნები;
7. შეაფასეთ თანაკლასელების პროექტები.

კრეატიულ თანამშრომლობის ხელშეწყობა

კრეატიული მუშაობა ხშირად ინდივიდუალურ საქმიანობად განიხილება. სინამდვილეში, ხშირ შემთხვევაში ადამიანები ჯგუფურად მუშაობენ. თანამშრომლობამ შეიძლება კრეატიულობის სტიმულირება მოახდინოს. მოუწოდეთ თქვენს მოსწავლეებს, ერთად იმუშაონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრეატიულ ადამიანებთან ერთად მუშაობა. მოსწავლეები სარგებელს იმ ტექნიკის, სტრატეგიისა და მიდგომების გაცნობით იღებენ, რომლებსაც სხვები კრეატიული პროცესის დროს იყენებენ. ისინი ისრუტავენ იმ ენთუზიაზმსა და სიხარულს, რომელსაც ადამიანი ახლის კეთების პროცესში ასხივებს. მოსწავლეებთან მნიშვნელოვანია ჯგუფებში მუშაობის კრეატიული მეთოდების პოვნა, რადგან შეუძლებელია მუდმივად თითო - თითო მოსწავლესთან ერთად მუშაობა. იმის გამო, რომ ცხოვრება სხვებთან ერთად მუშაობას ითვალისწინებს, ღირს მოსწავლეებისთვის ერთობლივი

კრეატიული მუშაობის და თანამშრომლობის სწავლება.

- **დააკავშირეთ ერთმანეთთან იდეები და ახალი სიცოცხლე შთაბერეთ**

მოსწავლეების კრეატიულობის სტიმულირება სხვადასხვა საგანსა და დისციპლინაზე ერთდროული ფიქრის საშუალებით მოახდინეთ. ტრადიციულ სასკოლო გარემოში სხვადასხვა საგანს სხვადასხვა საკლასო ოთახში სწავლობენ. შესაძლოა, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მათ შორის კავშირი შეუძლებელია. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მათემატიკასა და, სოციალური მეცნიერებებს.? მაგრამ კრეატიული იდეები წარმოიშვება არა სხვადასხვა საგნის მასალის დამახსოვრებასა და დაზეპირებაში, არამედ მათი ერთმანეთთან დაკავშირების შედეგად. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნით იდეების გამდიდრება. იდეების გამდიდრების პროცესში ერთვება მოსწავლის უნარები, ინტერესები და შესაძლებლობები. საგანს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, თუ თქვენს მოსწავლეებს მათემატიკის სწავლა უჭირთ, შეგიძლიათ, სთხოვოთ კითხვები იმ საკითხებზე, რაც აინტერესებთ. ფეხბურთის მოყვარულებს სთხოვეთ, გეომეტრიის პრობლემები თამაშზე დაყრდნობით გაიაზრონ. კონტექსტმა შესაძლოა ხელი შეუწყოსკრეატიული იდეების წარმოშობას, რადგან მოსწავლეები თემას სასიამოვნოდ მიიჩნევენ და ამან შეიძლება გეომეტრიის შესწავლით გამოწვეული უარყოფითი ემოციები გააბათილოს.

სხვადასხვა საგნის მასალით სწავლების პროცესის გამდიდრება მოტივაციას იმ მოსწავლეებს უმაღლებს, რომლებსაც აბსტრაქტული საგნების სწავლა არ აინტერესებთ. იდეების გამდიდრების ერთ-ერთი გზაა გაიგოთ, რა არის ბავშვის ყველაზე ,,კარგი” და ,,ცუდი” საგანი. ამის შემდეგ დაავალეთ, მოიფიქრონ პროექტის იდეები იმ საგნებში, რომლებიც უჭირთ და ამისთვის ძლიერი სფეროებიდან აღებული იდეები გამოიყენონ.

- **ცოტა ხანს გადადეთ კრეატული იდეების შეფასება**

კრეატიული საქმიანობის დროს მოსწავლე პროექტსა ან დავალებაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ისე მუშაო-

ბას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჯილდოს ვერ იღებს. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ დაჯილდოების გადავადებას თავისი დადებითი მხარე აქვს. რაიმე დავალების შესრულებაზე ხანგრძლივი მუშაობის დროს მოსწავლე ხარისიანად შესრულებული დავალებაზე დახარჯული ძალისხმევის ფასს სწავლობს. პროექტები ამ მიზნის მისაღწევი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ რთულია ბავშვებს სახლში შესასრულებლად პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული დავალება მისცეთ, თუ დარწმუნებული არ ხართ მშობლების დახმარებასა და მათ ჩართულობაში.

- **აღიარეთ მოსწავლისა და საკლასო გარემოს ურთიერთკავშირი**

კრეატიული საკლასო გარემოს შექმნისა და მისი მნიშვნელობის მუდმივი ხაზგასმით თქვენ მოსწავლეებს კრეატიულ წარმატებაში ეხმარებით. დაეხმარეთ მათ თავისი უნარების შესაფერისი ჩგარემოცვის შერჩევაში.

კრეატიულობის ზრდის ხელშეწყობა

ადამიანები ხშირად ღელავენ, რომ შემდეგი იდეა, შესაძლოა, ისეთი კრეატული არ იყოს, როგორც წინა, ან მოპოვებული წარმატება ახალ იდეასთან ერთად გაქრეს.... იყო კრეატიული არის ადამიანის უნარი გაარღვიოს ეს ჩარჩოები და წინ იაროს.

- **დაუთმეთ დრო კრეატიულ აზროვნებას**

ჩვენს საზოგადოებას ცოტა დრო აქვს. თუ ტესტში ძალიან ბევრს შეკითხვას ჩაწერთ, ან მოსწავლეებს იმდენ საშინაო დავალებას მისცემთ, რამდენის შესრულებაც მათ არ შეუძლიათ, გამოვა, რომ ისინი კრეატიულად ფიქრისთვის ვერასოდეს მოიცლიან

- **გამოუმუშავეთ მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობა**

მოსწავლეებისთვის კრეატიულობის სწავლება პასუხისმგებლობის განვითარებასაც გულისხმობს, რადგან:

(1) მოსწავლეები იაზრებენ კრეატიულ პროცესს,
(2) ივითარებენ თვითკრიტიკის უნარს,
(3) ამაყობენ საკუთარი კრეატიული ნაშრომებით.

სამწუხაროდ, წარუმატებლობის შემთხვევაში, ბევრი მასწავლებელი და მშობელი შედეგებზე პასუხისმგებელ გარეშე ,,მტერს" ეძებს. ისინი მოსწავლეებსაც ,,ნებას რთავენ" წარუმატებლობის მიზეზი გარე მტერში ეძებონ. შეიძლება ბანალურად მოგეჩვენოთ ის აზრი, რომ მოსწავლეებს საკუთარ ნამუშევარზე პასუხისმგებლობის აღება უნდა ვასწავლოთ. მაგრამ ალბათ საკუთარი ან სხვა ადამიანის გამოცდილებიდან იცით, რამხელა ნაპრალი ჩნდება ხოლმე, როდესაც ხდება ცოდნისა და აზრების ქმედებებად გარდაქმნა. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმ პასუხისმგებლობების თვალსაზრისით, რომლებსაც ქმედებების მიზეზებსა და შედეგებზე იღებენ. კრეატიულ ადამიანებს საკუთარ თავსა და თავის იდეებზე პასუხისმგებლობის გააზრება სჭირდებათ.

- **ხელი არ შეუშალოთ მოსწავლეთა აზარტულობას**

თქვენი მოსწავლეების საუკეთესო კრეატიული უნარების გამოსააშკარავებლად მათ იმის პოვნაში უნდა დაეხმაროთ, რაც მათ აინტერესებთ. ამ დროს იზრდება აზარტულობა და კრეატიული პროდუქტის შექმნის სურვილი.

კრეატიულობის უწყვეტი შენარჩუნება

მას შემდეგ, რაც კრეატიულობის განმავითარებელ მეთოდებს განავითრებთ და მათ ყოველდღიური სწავლების ნაწილად აქცევთ, დაიწყეთ ახალი მიდგომები განხილვა კოლეგებთან. გახდით ცვლილებების ინიციატორი. მოუყევით კრეატულობის შესახებ თქვენს კოლეგებს, მეგობრებს, ადმინისტრატორებს, სკოლის დირექტორს. უთხარით რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარება. აჩვენეთ კრეატიული მოსწავლეების ნამუშევრები (განსაკუთრებით იმ მოსწავლეების ნაშრომები, რომლებსაც არ აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება), კოლეგებს ესაუბრეთ კრეატიული სწავლებით გამოწვეული ცვლილებების შესახებ.

- **დაადგინეთ და გადალახეთ წინააღმდეგობები**

კრეატიულად მოაზროვნე ადამიანი ხშირად ხვდება წინააღ-მდეგობებს. მთავარია, აქვს თუ არა კრეატიულად მოაზროვნე ადამიანს წინააღმდეგობებთან გამკლავების უნარი. სად მიდის ამდენი იმედისმომცემი კრეატიულად მოაზროვნე ახალგაზრდა. ადრე თუ ჩგვიან ისინი იწყებენ ფიქრს, რომ კრეატიულობა წი-ნააღმდეგობა და რიგ შემთხვევებში დასჯაცაა. მაგრამ ხდება ისიც, რომ კრეატიული ადამიანები გარკვეულ ფასს იხდიან, რადგან ხვდებიან, მათ იდეებს ცვლილებების გამოწვევა შეუ-ძლიათ.

- **აქცენტი გააკეთეთ ძლიერ მხარეზე**

მოსწავლლებმა უნდა ისწავლონ საკუთარი ძლიერი მხარეე-ბის შეფასება. უნდა იცოდნენ მათი გამოიყენება. აღუწერეთ მათ თქვენი ძლიერი მხარეები და სთხოვეთ, თავისი სიძლიერის შეს-ახებ მოგიყვნენ. ჩაატარეთ ჩგონებრივი იერიში მათგან მაქსიმ-ალური სარგებელის მიღების შესახებ. უთხარით თქვენს მოსწავ-ლეებს, რომ მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გაერთიანებით ისინი საკუთარ კრეატულობას ავითარებენ.

- **შექმენით სტიმულის გამომწვევი გარემო**

იმისთვის, რომ მოსწავლეების კრეატიულობა გაიზარდოს, სასწავლო პროცესი დაგეგმეთ შესაბამის გარემოში. კარგი გარე-მო კრეატიულობის სტიმულირებას ახდენს. დაგეგმეთ ექსკურსია ახლომდებარე მუზეუმში, ისტორიულ შენობაში, მერიაში ან სხვა ისეთ ადგილას, სადაც საინტერესო ექსპოზიციის ნახვაა შესა-ძლებელი.

მე, როგორც განათლების სპეციალისტი, წლების განმავლობა-ში უამრავ მასწავლებელს შევხვდი, ყოველთვის გულისყურით ვუსმენდი იმ ნარატივებს, რომლებიც ერთგვარი რეპორტაჟები იყო მათი გაკვეთილებიდან და ვცდილობდი მხარი დამეჭირა კრეატიული იდეებისათვის.

გთავაზობთ იტალიური სკოლის პედაგოგის ინგა თეთრაძის

ნაამბობს კრეატიული იდეის განხორციელების ისტორიის შესახებ - დაწყებით კლასებში ი. გოგებაშვილის მოთხრობების სწავლება ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, წლები გადიოდა, ერთი ძალიან აქტიური კლასი მყავდა, იოლად უღებდენ ალღოს ყველაფერს; სიახლეებს და ორიგინალურ მიდგომებს ითხოვდნენ ჩემგან. გოგებაშვილის მოთხრობები ისწავლეს, თავისუფალი თემები დაწერეს, ლიტერატურული სპექტაკლიც დავდგით, მაგრამ რაღაც არ მასვენებდა... ჩემი მოსწავლეებიც ათასგვარ კითხვებით იმ ღირებულებებს უკირკიტებდნენ, რაც გოგებაშვილის მოთხრობებს ძლიერ ხაზად გასდევს... მახსოვს ერთ-ერთმა მოსწავლემ კითხვა დამისვა — მასწავლებელო, რამდენად საინტერესო იქნებოდა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები მასში უარყოფითი გმირები რომ არ იყვნენ? და უცებ მივხვდი რაც უნდა გამეკეთებინა.. ზარი დაირეკა და მოსწავლეებს შევპირდი, რომ ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებოდით... ასე გაჩნდა პროექტი "გოგებაშვილის მოთხრობები უარყოფითი პერსონაჟების გარეშე" მოსწავლეები წყვილებში მუშაობდნენ. მოსწავლეთა წყვილებმა შეარჩიეს თითო მოთხრობა და შეეცადენ დაეწერათ მოთხრობის ალტერნატიული ვარიანტი უარყოფითი პარსონაჟების გარეშე. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოთხრობები უინტერესო გახდა. შემდეგ მათვე ვთხოვე - თავი იმ უარყოფითი პერსონაჟების ადგილას წარმოედგინათ და დაეწერათ საკუთარი განცდა, რაც მოთხრობიდან გამოძევების შედეგად დაეუფლათ. მოსწავლეებმა საოცრად ემოციური კომენტარები წარმოადგინეს. ამ კომენტარების საფუძველზე ნახატი ფილმის სცენარი დავწერეთ, მოსწავლეებმა დახატეს სცენარის სიუჟეტები და ერთ-ერთი სტუდიის დახმარებით შევქმენით ნახატი ფილმი, რომლის ფინალი ასეთი იყო - მოთხრობებიდან გამოძევებული პერსონაჟები გზაჯვარედინზე ხვდებიან იაკობ გოგებაშვილს, რომელიც თითოეულ მათგანს აბრუნებს თავიანთ მოთხრობებში.

გთავაზობთ მცირე ექსკურსს ამ კრეატიული სასწავლო პროექტიდან:

პერსონაჟთა დარდი რაც მოთხრობიდან გამოძევების შემდეგ დაეუფლათ:

მკვეხარა ქოთანი - ოქრო-სძირიანი მაღალი ქოთანი კი ვარ, მაგრამ როგორი მკვეხარა და ბაქია ვარ?!

... მუქთამჭამელა - როგორი მუქთამჭამელა, ზარმაცი და პატივმოყვარე ვარ?!

მტრედი – ჩემი ნაკლი ისაა, რომ დამცინავი, ირონიული, თავდა-ჯერებული ვარ..

დედაბერი – ასეთი ხარბი და გაუმაძღარი რატომ ვარ?!

გოგებაშვილის პასუხი პერსონაჟთა დარდებზე:

მკვეხარა ქოთანს — ხომ გაგიგონია"გლახა ამპარტავანიო, არც ღმერთს უყვარს, არც კაცსაო " ან ეს: " ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვეხარი"

მუქთამჭამელას - გარეგნული იერის შეცვლით ცდილობ დაიმსახურო პატივისცემა. დაიმახსოვრე "ტანისამოსს კი ნუ იცვლი ხასიათი გამოიცვალე და პატივიც დაგედებაო"

მტრედს – დაიმახსოვრე: ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონვე ჩავარდებიო; ხომ გაგიგონია "ნუ დასცინი სხვასაო გადაგხდება თავსაო".

დედაბერს — ხომ გაგიგონია "მეტის მდომი ცოტასაც დაკარგავსო" ან ეს ანდაზა "ხარბის თვალი არ გაძღაო"

ფინალი – გოგებაშვილი სთხოვს უარყოფით პერსონაჟებს მოთხრობებში დაბრუნდნენ.

მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას ადგილიდან დავძრავ... გასაკვირი არ არის, რომ არქიმედეს ეს სიტყვები ყველა კრეატიული ადამიანისათვის დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება. მართლაც საყრდენი წერტილის პოვნა კრეატიული მასწავლებლისათვის გაკვეთილის გასაღებია... ხოლო მოსწავლისათვის ასეთი გაკვეთილი წარმატებაში ვარჯიშია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება- **კირან იგანი, მიჰაი ჩიქსენტმიჰაი, რობერტ შტერნბერგი და უენდი მ. ვილიამსი - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012**
2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. განმარტებითი ლექსიკონი 2007წ.
3. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი . თბილისი 2008წ
4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ეროვნული სასწავლო გემა 2011-2016წ
5. «Вопросы психологии». Москва 2000 г.

ინტერესის როლი სამოქალაქო განათლების სწავლებისას

ნინო ჭიაბრიშვილი, ქეთევან ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე

“ინტერესი ცოდნის სურვილია”

თომას აქვინელი

შესავალი

როგორ ვასწავლოთ უკეთ? კითხვაზე პასუხი კიდევ უფრო რთულდება გარდამავალ პერიოდებში, როცა საზოგადოება ახალ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვაგვარ ცვლილებებთან შეგუებას ცდილობს. საქართველო გარდამავალ ეკონომიკაში ცხოვრობს და სამოქალაქო საზოგადოებას აშენებს. ამ რთულ პროცესში აუცილებლად გვჭირდება სამოქალაქო კომპეტენცია, რომელიც ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და შესაბამის დამოკიდებულებებს დაეფუძნება. გამორჩეული ინტერესის მქონე ახალი ყაიდის მოქალაქის აღზრდა ხელსაყრელი საწყისი წერტილი და კარგი დამხმარე ინსტრუმენტი იქნება სამოქალაქო განათლებაში. ინტერესის მქონე მოქალაქეები ყოველთვის ეცდებიან “რა” კითხვიდან “რატომ” კითხვაზე გადასვლას, მუდმივად განივითარებენ ცნობისმოყვარეობას და შეეძლებათ გააზრებულად და უწყვეტად ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ქართულ საზოგადოებაში ამ ცვლილებათა კონტექსტის აღწერის შემდეგ შემოგთავაზებთ სანიმუშო გაკვეთილს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გავაღვიძოთ ინტერესი და ცნობისმოყვარეობა დაწყებით კლასებში სამოქალაქო განათლების ელემენტების სწავლებისას.

ქართული საზოგადოება – სამოქალაქო განათლების საჭიროება

ცნობილია, რომ განათლება ადამიანური საქმიანობის განუყოფელი და არსებითი ნაწილია. განათლების სისტემა მიიჩნევა ფაქტორად, რომელიც აყალიბებს ნებისმიერ ცივილიზებულ საზოგადოებას – საზოგადოება და მის ხელთ არსებული განათლების ინსტრუმენტები ურთიერთგადაჯაჭვულია.

საზოგადოების წინაშე მუდმივად დგას კითხვა: როგორი განათლებაა საუკეთესო? როგორ მივცეთ ახალგაზრდებს ისეთი განათლება, რომელიც მშვიდობის, კეთილდღეობისა და სოლიდარობისკენ გაგვიძღვება? რაშია 21-ე საუკუნის განათლების საიდუმლო? როგორ მოვძებნოთ ის გასაღები, რომელიც შეგვაძლებინებს, თანაბარ პირობებში ყველას უნდოდეს და შეეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა მდგრად განვითარებაში, მშვიდობისა და თანასწორობისათვის ბრძოლაში? როგორ ავაგოთ განათლების სისტემა, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ ძველი მოდელების შეზღუდულობათა დაძლევა? როგორ შევუწყოთ ხელი ისეთ განათლებას, რომელიც ახალგაზრდებს გლობალიზაციის გამოწვევების ღირსეულად გადალახვას შეაძლებინებს?" (Braslavsky, 2004, გვ.1).

გარდამავალ პერიოდებში შეგუების კრიზისს ისიც ართულებს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალობა რადიკალურად იცვლება, ხოლო ქცევის მოდელები პრაქტიკულად უცვლელი რჩება. როგორც რუბინოვა აღნიშნავს, "ღირებულებები და კულტურული გამოცდილება გაცილებით სწრაფად იცვლება, ვიდრე "ზეფასეულობები" და პიროვნული თავისებურებები" (Rubinova 2010, გვ. 1).

გარდამავალ პერიოდში საზოგადოებამ გარკვეულწილად უნდა შეცვალოს ძველი წესები ან თანაცხოვრების, ურთიერთქმედების სრულიად ახალი წესები შეიმუშაოს. უკანასკნელ ათწლეულში საქართველო წარმატებით ცდილობს დემოკრატიული საზოგადოების წესების დამკვიდრებას; ამ პროცესში სამოქალაქო განათლება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. პირველი

ნაბიჯი ამ მიმართულებით 2006-2007 წლებში გადაიდგა, როცა სამოქალაქო განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სავალდებულო საგანი გახდა (ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2011). ამ პროცესის მნიშვნელობას და აუცილებლობას ჯერ კიდევ 1917 წელს ხაზი გაუსვა დიმიტრი უზნაძემ:

"დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქე, ამიტომ ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში. ...პირველ ყოვლისა, აუცილებელია, მივცეთ ბავშვებს ცოდნის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია, არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა" (უზნაძე, 2005, გვ. 387).

ბროშურაში "უწყვეტი განათლების საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო" აღნიშნულია, რომ "სამოქალაქო კომპეტენცია ეფუძნება რა ინდივიდების მიერ სოციალური და პოლიტიკური კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნას და აქტიური და დემოკრატიული მონაწილეობისადმი ერთგულებას, სამოქალაქო ცხოვრებაში სრულყოფილ ჩართულობას უწყობს ხელს" *(Key Competences for Lifelong Learning European Reference Framework'*, 2007, გვ. 9) მონაწილეობა და ჩართულობა გულისხმობს მოქმედებაზე ორიენტირებას, რომელიც თანამედროვე მოქალაქის მნიშვნელოვანი თვისებაა; თუმცა ის უნდა ეფუძნებოდეს ინტერესს, ცნობისმოყვარეობას, კრიტიკულ აზროვნებას, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ფრთხილ აწონ-დაწონვას, გადაწყვეტილების მიღებას.

წარმატებული ჩართულობა ემყარება ცოდნის, უნარ—ჩვევებისა და დამოკიდებულებების ტრიადას. შესაძლოა გვქონდეს

საჭირო ცოდნა და უნარები, მაგრამ მონაწილეობაც უნდა გვსურდეს, ჩართულობისადმი შესაბამისი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს. ეს კავშირი პირობითად ასე შეიძლება გამოვხატოთ: *ცოდნა+უნარები+განწყობა=ჩართულობა*

რატომ და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ინტერესი ამ რთულ რეალობაში?

ახალი თაობის მოქალაქის თავისებურებათა დახასიათებისას ვეყრდნობით მომავალი მოქალაქისათვის აუცილებელ ღირსებებს და დემოკრატიული საზოგადოების ძირითად პრინციპებს, რომლებიც "უფრო სრულყოფილად ხორციელდება, როცა პოლიტიკური საზოგადოების ყოველი წევრი მონაწილეობს მმართველობაში. პოლიტიკური საზოგადოების წევრები მისი მოქალაქეები არიან, შესაბამისად, მოქალაქეობა დემოკრატიაში პოლიტიკის წევრობაა. წევრობა გულისხმობს მონაწილეობას, მაგრამ არა ფორმალურ მონაწილეობას. მოქალაქის მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა ემყარებოდეს ინფორმირებულ, კრიტიკულ რეფლექსიას და წევრობასთან დაკავშირებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების ცოდნასა და აღიარებას" (Branson & Quigley, 1998, გვ. 4).

ნაშრომის "სამოქალაქო განათლების როლი" ავტორები აღნიშნავენ, რომ "დემოკრატია არ არის თვითმავალი მანქანა, საჭიროა მისი გააზრებული რეპროდუქცია ერთი თაობიდან მეორეში" (Branson & Quigley, 1998, გვ. 3). ისინი იშველიებენ ალექსის დე ტოკვილის მოსაზრებას, რომ „ყოველი ახალი თაობა ახალი ადამიანებისაგან შედგება, რომლებმაც უნდა შეიძინონ ცოდნა, უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბდეთ კერძო და საზოგადო ხასიათის განწყობები, რომლებიც განამტკიცებს საკონსტიტუციო დემოკრატიას" (Branson & Quigley, 1998, გვ. 3). ჩვენი აზრით, ცნობისმოყვარეობას გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია „დემოკრატიული მანქანის" გააზრებულ და უწყვეტ რეპროდუქციაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ცნობისმოყვარეობა სწავლის ძირითადი სტიმულია. ცნობისმოყვარეობა პიროვნების

ჩამოყალიბებაზე ზეგავლენისას პიროვნების მიმართულებას და ხასიათსაც განსაზღვრავს.

დეკარტე (dekarte, 1989, გვ. 507) ხსნის არისტოტელეს მოსაზრებას შემეცნების შესახებ, რომელიც ცნობისმოყვარეობის საფუძველზე ჩნდება. ექვს ძირითად „გრძნობას“ შორის ცნობისმოყვარეობის გრძნობას პირველ ადგილს უჩენს და ამტკიცებს, რომ მას არა აქვს საპირისპირო გრძნობა, რადგან თუ საგანი უჩვეულო არ არის, „ის არ გვაღელვებს და მას გატაცების გარეშე ვუმზერთ“. მისი აზრით, ცნობისმოყვარეობის მიზეზი მოულოდნელობაა: „ცნობისმოყვარეობა მაშინ ჩნდება ჩვენს სულში, როცა რაღაც მოულოდნელი გვაიძულებს ყურადღებით დავაკვირდეთ იშვიათ და უჩვეულო საგნებს“ (Decart, 1989, გვ. 511).

კანტი (1999, გვ. 340-341) ცნობისმოყვარეობას აღწერს როგორც შეცბუნებას, დაბნეულობის განცდას რაღაც მოულოდნელის წინაშე. ცნობისმოყვარეობის როგორც ემოციის განვითარებაში ის ორ ფაზას მიჯნავს: “თავდაპირველად ის ანელებს ფიქრს, რადგან შესაძლოა შედეგი (ობიექტი) უსიამოვნო იყოს, მაგრამ შემდეგ ხელს უწყობს ფიქრისა და უჩვეულო ხატების დინებას და სასიამოვნო ხდება”.

უშინსკის აზრით, არა მოულოდნელი მოვლენა ან ხატი ახდენს მძაფრ შთაბეჭდილებას, არამედ მათი გავლენა ჩვენს შეხედულებებსა და ფიქრებზე და ამის შედეგად ჩამოყალიბებული მოლოდინები. ამ შემთხვევაში ცნობისმოყვარეობა ახალი მოვლენის წინასწარი ცოდნაა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს არსებულ შეხედულებებს. “ჩვენში გაოცებას იწვევს მოულოდნელი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ გვიძნელდება მისი “შეთანხმება” ჩვენს წარმოსახვასთან. როგორც კი ამგვარ შეთანხმებას ვაღწევთ, ცნობისმოყვარეობა ქრება...” (Ushinsky, 1974, გვ. 435)

რაკი ცნობისმოყვარეობის გაჩენა მოულოდნელ ფაქტსა და სიტუაციას უკავშირდება, ის დიდხანს არ გრძელდება და სხვა ემოციურ მდგომარეობად გარდაიქმნება:

- თუ მოულოდნელი სიტუაცია სტრესული და სახიფათოა, ცნობისმოყვარეობა შესაძლოა შიშში გადაიზარდოს.

– თუ მოულოდნელი სიტუაცია უსაფრთხოა, ცნობისმოყვარეობა შესაძლოა ინტერესში გადაიზარდოს.

– თუ მოულოდნელი სიტუაცია სასიამოვნოა, ცნობისმოყვარეობა შესაძლოა სიხარულად იქცეს (ილინი, 2001, გვ. 130).

შესაბამისად, მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს, რადაც უნდა დაუჯდეს, ეცადოს მოსწავლეების ცნობისმოყვარეობა ინტერესად გადააქციოს, ხოლო იდეალურ შემთხვევაში – სიხარულადაც.

რატომ მიგვაჩნია ასეთი გარდაქმნა მნიშვნელოვნად? დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, "სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. სწავლის წყურვილში გადაეზარდოს" (უზნაძე, 2010, გვ. 193). სწორედ სწავლის წყურვილი არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანს მუდმივ მაძიებლად აქცევს და მთელი სიცოცხლის მანძილზე ახლის სწავლას უბიძგებს.

ამ გარდაქმნის შედეგი იქნება ე.წ. ცნობისმოყვარე ადამიანი, რომელიც მუდამ ეცდება "რა" კითხვა "როგორ" კითხვამდე განავრცოს და გააზრებულად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

როგორ შეიძლება სამოქალაქო განათლების გაკვეთილები საინტერესო გავხადოთ?

პასუხი ერთი შეხედვით მარტივია – უნდა შევთავაზოთ ისეთი აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას აღძრავს და ავითარებს. კონფუცისეული "მესმის და მავიწყდება, ვხედავდა ვიმახსოვრებ, ვაკეთებ და ვიგებ" წარმატებული სწავლის უძველესი ფორმულაა. "დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასკოლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რო-

მელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას" (დ. უზნაძე, 2005, გვ. 388). კეთება, პრაქტიკული საქმიანობა, აქტიურობა ის სოციალური ფენომენია, რომელიც გულისხმობს მიზნების დასახვას, მიღწევისთვის საჭირო საშუალებებზე ფიქრს, სასურველი შედეგების წინასწარ ხედვას და თვით ამ მიზნების მისაღწევი ძალისხმევის პროცესს.

ყურადღებით დაგეგმილ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებს შეუძლია "ცნობისმოყვარეობის ინტელექტუალური მოთხოვნილება" სწავლის წყურვილად აქციოს. (შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ასეთი თვითმსწავლელი, მუდმივი მაძიებლები და არა არსებულის პასიური მომხმარებლები შეძლებენ მომავალში წარმატებულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.)

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო განათლება ტრადიციულად სკოლას უკავშირდება, ის მხოლოდ სკოლის ფუნქცია ვერ იქნება. სამოქალაქო განათლებამ უნდა მოიცვას ფორმალური გარემოც (სკოლა) და არაფორმალურიც (ოჯახი, საზოგადოება, ბიბლიოთეკა, სამუშაო ადგილი, სამოქალაქო ორგანიზაციები, კავშირები, სპორტული გუნდები, მასმედია და სხვ.). მეტიც, გონივრული იქნება თუ ვიტყვით, რომ სამოქალაქო განათლების წარმატებისთვის საჭიროა ამ ფორმალურ და არაფორმალურ გარემოთა ინტეგრირება თუ არა, კოორდინირება მაინც (Crittenden, ჟ., 2007, გვ. 1)

გთავაზობთ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე ცნობისმოყვარეობის გრძნობის გაღვიძების რამდენიმე სტრატეგიას:

– ცნობისმოყვარეობა უნდა განვიხილოთ ერთობლივ სასწავლო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვის კოგნიტურ აგენტად;

– მოსწავლეებთან ერთად უნდა შევქმნათ პროექტის გეგმა (ტექსტის, ცხრილის და სხვა სახით), რომელიც პასუხს გასცემს შემდეგ კითხვებს: რას ვაკეთებთ? როგორ ვაპირებთ ამის გაკეთებას? რატომ ვაკეთებთ ამას? რისთვის ვაკეთებთ ამას?

– უნდა წავახალისოთ მოსწავლეების მიერ ვარაუდების გამოთქმა, მოვუსმინოთ ყურადღებით და შემდეგ ვკითხოთ: როგორ შეძლებ ამის დამტკიცებას?

– ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება წინააღმდეგობათა გადალახვა (სახელმძღვანელოს, დამატებითი ლიტერატურის, ვებგვერდის და სხვათა დახმარებით);

– თანდათანობით უნდა გავართულოთ მოსწავლეთა აქტივობების შინაარსი;

– ფრთხილად გამოვიყენოთ სტიმულები (შეფასება, ჯილდო), რათა შედეგები ხელშესახები გავხადოთ;

– ვასწავლოთ მოსწავლეებს საკუთარ თავს დაუსვან კითხვები: როგორ მივაღწიე წარმატებას? რატომ გამიძნელდა?

– თავი უნდა ავარიდოთ პასუხების, დასკვნების, "პროდუქტების" სწავლებას: მოსწავლეებისათვის უფრო სასარგებლოა ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამოუკიდებლად დაუფლება, ინდივიდუალურად ან ჯგუფში მუშაობა;

– ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელსაც ძირითადად მის მიერ შესრულებული სამუშაო უნდა განსაზღვრავდეს;

– შეძლებისდაგვარად უნდა გამოვიყენოთ რეალური ცხოვრებისეული მაგალითები და სიტუაციები.

ეს ჩამონათვალი უსასრულო შეიძლება იყოს და იცვლებოდეს მასწავლებლისა და კლასის მიხედვით. მთავარია, მუდამ გვახსოვდეს და ეფექტურად გამოვიყენოთ ცნობისმოყვარეობის გრძნობის უსაზღვრო პოტენციალი სწავლა/სწავლების პროცესში.

ქვემოთ გთავაზობთ სანიმუშო გაკვეთილს იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება ცნობისმოყვარეობის გრძნობას ხელი შევუწყოთ დაწყებით კლასებში სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული სწავლებისას კურსით "ჩვენი საქართველო".

გაკვეთილში გამოყენებულია ქართული ხალხური ზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა". მოსწავლეები თავდაპირველად ზღაპრის არსებულ ვერსიას გაითამაშებენ, ხოლო შემდეგ — სახეცვლილს, რაც საშუალებას მისცემს მათ ნაცნობი ზღაპარი უჩვეულო კუთხით განიხილონ, ერთმანეთს შეადარონ გასაჭირში მყოფი მეგობრის დახსნის ალტერნატიული ხერხები და იმსჯელონ ფუ-

ლის, როგორც სხვა ადამიანის დახმარების საშუალების მნიშვნელობაზე.

***გაკვეთილის სათაური:* რა მოხდა 3 ათასი წლის წინ?**

გაკვეთილის აღწერა: გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნობიან ბარტერს და ნახავენ როგორ აადვილებს ფული გაცვლას. თავდაპირველად ისინი ზღაპრის "რწყილი და ჭიანჭველა" ორიგინალურ ვერსიას გაითამაშებენ, ხოლო შემდეგ ზღაპრის სახეცვლილ ვერსიას, რომელშიც რწყილი ლარს იყენებს მეგობრის გადასარჩენად.

კონცეფციები: გაცვლა, ბარტერი, ვაჭრობა, ფული, საქონელი, მომსახურება.

მონათესავე საგნები: მშობლიური ენა

გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეები შეძლებენ:

1. ახსნან ვაჭრობის მიზეზები;
2. განსაზღვრონ ბარტერი;
3. შეადარონ ერთმანეთს ვაჭრობა ფულით და უფულოდ და ახსნან რატომ აადვილებს ფული ვაჭრობას;
4. დაასახელონ ფულის გამოყენების სხვა ფორმები (ვაჭრობა, დაზოგვა, დახარჯვა და სხვ.);
5. დაასახელონ, განსაზღვრონ და ერთმანეთისაგან გამიჯნონ საქონლისა და მომსახურების მაგალითები.

კლასი: მე-5

საჭირო დრო: 60 წუთი

საჭირო მასალები:

- სავარჯიშო № 1-თვის საჭირო რესურსები

11 მონაწილე;

კისერზე ჩამოსაკიდი მუყაოს პატარა დაფები ზღაპრის შემდეგი გმირებისა და საგნების გამოსახულებით – რწყილი, ჭიანჭველა, ღორი, მუხა, ყვავი, ქათამი, ორმო, თაგვი, კატა, ძროხა, ასევე რუ, რკო, ჯაგარი, წიწილა, ფეტვი, რძე, ბალახი, თოკი.

- სავარჯიშო № 2-თვის საჭირო რესურსები

4 მონაწილე;

კისერზე ჩამოსაკიდი მუყაოს პატარა დაფები ზღაპრის შემდეგი გმირებისა და საგნების გამოსახულებით – რწყილი, ჭიანჭველა, ღორი, ასევე რუ, ჯაგარი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა № 1

ერთ-ერთი მოსწავლე თავის მაგიდაზე პოულობს დედამიწაზე შემთხვევით მოხვედრილი უცხოპლანეტელის წერილს. (უცხოპლანეტელს მოსწავლეები თვითონ ურჩევენ სახელს.) უცხოპლანეტელი იწერება, რომ იპოვა უცნობი ნივთი, რომელსაც გამოყენება ვერ მოუძებნა. იგი ასეთ მინიშნებებს სთავაზობს და დახმარებას ითხოვს:

– მრგვალია;
– ლითონისაა;
– ზედ ამოტვიფრულია ნახატები და წარწერები.

მოსწავლეები გონებრივი იერიშის გზით ცდილობენ გამოიცნონ ის საგანი, რომელიც სამივე მინიშნებას აკმაყოფილებს. ლოგიკური დედუქციის გზით გვთავაზობენ სწორ დასკვნას, რომ ეს შეიძლება ფული იყოს. მოსწავლეები პასუხს წერენ უცხოპლანეტელს თავიანთი ვარაუდის შესახებ.

მეორე დღეს კიდევ ერთი წერილი ხვდება ერთ-ერთ მოსწავლეს მაგიდაზე. უცხოპლანეტელი ენციკლოპედიიდან ან სხვა წყაროებიდან დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს ფულის შესახებ. მოსწავლეები თავს უყრიან საჭირო ინფორმაციას და პასუხობენ უცხოპლანეტელს.

მასწავლებელმა შესაძლოა გააგრძელოს მოსწავლეებისა და უცხოპლანეტელის ასეთი კომუნიკაცია ახალი თავსატეხების შეთავაზებით, რომელიც მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას ემსახურება. აქტივობა შესაძლოა დასრულდეს უცხოპლანეტელის მადლობის წერილით. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი დაფაზე ხატავს წრისებრ გონებრივ რუკას (იხ. ქვემოთ), წერს შუაგულში

სიტყვა “ფულს” და სთხოვს მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის გზით გაიხსენონ ფულის მნიშვნელობასთან დაკავშირებული ზედსართავები, ფრაზები, სიტყვები.



აქტივობა № 2

1. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ სპექტაკლში და ნახავენ, როგორ ვაჭრობდნენ ადამიანები ძველად.
2. მოსწავლეებს უნაწილებს როლებს, დაფებსა და ბარათებს შესაბამისი ტექსტით. ინიშნავს დროს და მოსწავლეები იწყებენ სპექტაკლის თამაშს, მის 1 ნაწილს № 1 სავარჯიშოს შესაბამისად.
3. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– რატომ ვერ შეძლო რწყილმა ჭიანველას გადასარჩენად საჭირო ჯაგრის სწრაფად მოპოვება? (ღორმა უარი უთხრა ჯაგრის მიცემაზე, თუკი სანაცვლოდ რკოს არ მიიღებდა, ასევე უარი მიიღო ზღაპრის სხვა გმირებისგან, თუკი სანაცვლოდ რაც მათ უნდოდათ იმას არ მიუტანდა).

– მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ საკუთარი ცხოვრებიდან გაცვლის მაგალითები და გაცვლის მიზეზები (პასუხები სხვადასხვაგვარი იქნება, თუმცა არსებითია ის, რომ ადამიანები, როგორც წესი, მობეზრებულ, არასაჭირო საგანს ცვლიან ახალ, სასურველ, საინტერესო საგანზე).

– ამ ზღაპარში გმირები ერთმანეთს ზოგჯერ საქონელს უცვლიან, ზოგჯერ კი, მომსახურებას. მოდით, მოვიფიქროთ და დაფაზე ჩამოვწეროთ საქონლისა და მომსახურების მაგალითები. (დაფაზე ერთ სვეტში იწერება საქონლის მაგალითები: ბაწარი, ჯაგარი, რკო, რძე, ფეტვი, წიწილა, ხოლო მეორე სვეტში მომსახურების მაგალითები: ბაწრის დაგრეხვა, ბალახის მოთიბვა, ძროხის მოწველა).

– რა განსხვავებაა საქონელსა და მომსახურებას შორის? (თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ, მასწავლებელი აზუსტებს - საქონელიც და მომსახურებაც აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებას, თუმცა, საქონელი ხელშესახები საგნებია, ხოლო მომსახურება ისეთი რამ, რასაც ხელით ვერ შეეხები).

– როგორ ფიქრობთ, ეს ზღაპარი უკავშირდება თუ არა ვაჭრობას? როგორ? (უკავშირდება, რადგან რწყილი რამდენჯერმე ცვლის ერთ საგანს მეორეზე წყალში ჩავარდნილი მეგობრის საშველად).

– რას ნიშნავს გაცვლა? (გაცვლა ნიშნავს არასაჭირო ნივთის სანაცვლოდ საჭირო, სასურველი ნივთის მიღებას).

4. მასწავლებელი უხსნის, რომ საგნის საგანზე ამგვარ პირდაპირ გაცვლას ბარტერი ეწოდება და ჩვენი წინაპრები ძველად სწორედ ვაჭრობის ამ ფორმას იყენებდნენ. თუმცა, ეს გარკვეულ სირთულეებს უქმნიდათ. მოდით, მოვიფიქროთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს სირთულეები! (პასუხები სხვადასხვაგვარი იქნება, მაგრამ მასწავლებელმა უნდა გამოყოს არსებითი, კერძოდ: რომელიმე საგანი შეიძლება ძალზე პატარა ყოფილიყო და ადამიანებს უჭირდათ შეთანხმება, რამდენი პატარა საგანი მოეთხოვათ ერთი დიდი საგნის სანაცვლოდ. ასევე ბევრი დრო და ძალისხმევა სჭირდებოდა შესაბამისი ადამიანების შეხვედრას – ერთს უნდა ჰქონოდა ის, რაც მეორეს სჭირდებოდა, ხოლო მეორეს, ის, რაც პირველს სჭირდებოდა). ადამიანები ძალიან წვალობდნენ, მანამ, სანამ ერთ დღეს რაღაც არ მოხდა და სამუდამოდ არ შეიცვალა ვაჭრობის სისტემა.
5. მოსწავლეებს უნაწილებს როლებს, დაფებსა და ბარათებს შესაბამისი ტექსტით. ინიშნავს დროს და მოსწავლეები იწყებენ სპექტაკლის თამაშს, მის მე-2 ნაწილს № 2 სავარჯიშოს შესაბამისად.
6. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– რა შეიცვალა? (რწყილი ისევ ერთგულად დაეხმარა მეგობარს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მან ფული გადაუხადა ღორს და პირველივე მცდელობით სწრაფად და უწვალებლად მოიპოვა სასურველი ჯაგარი და გადაარჩინა მეგობარი. ღორი ფულის სანაცვლოდ დათანხმდა ჯაგრის მიცემას.)

– რა განსხვავებაა გაცვლასა და ვაჭრობას შორის? (გაცვლა ნიშნავს არასასურველი, მობეზრებული საგნის ნაცვლად სასურველი საგნის მიღებას ფულის გამოუყენებლად, ხოლო ვაჭრობა სასრველი საგნის ყიდვას ფულის გამოყენებით).

– ზღაპრის რომელ ვერსიაში დასჭირდა უფრო ნაკლები დრო და ძალისხმევა რწყილს მეგობრის გადასარჩენად? (მეორე

ვერსიაში, რადგან მან პირველივე მცდელობისას იოლად გადაარჩინა მეგობარი).

– რატომ არის ფული მნიშვნელოვანი გამოგონება? (ის ამარტივებდა გაცვლის პროცესს, ადვილი იყო, მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, ზოგავდა საჭირო საგნის მოსაპოვებლად საჭირო დროს და სხვ.)

– რისთვის გამოიყენა ღორმა ფული? (მეგობრის გადასარჩენად)

– რისთვის ვიყენებთ ფულს? (პასუხები სხვადასხვაგვარი იქნება – ვყიდულობთ საჭირო საქონელს და მომსახურებას, ვზოგავთ სამომავლო მიზნებისთვის, და სხვ., თუმცა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ფულით მრავალი სიკეთის გაკეთება არის შესაძლებელი.)

დასკვნითი ნაწილი:

მოსწავლეები იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი გონებრივი რუკის (ორმაგი ბუშტისებრი რუკა) საშუალებით ადარებს ერთმანეთს ბარტერსა და ფულით ვაჭრობას, გამოყოფს საერთო და განმასხვავებელ თავისებურებებს.

ბარტერი და ფული

მეორე ჯგუფი გონებრივი რუკის (ხისებრი რუკა) გამოყენებით ჩამოწერს საქონლისა და მომსახურების მაგალითებს. საკუთარ ნამუშევრებს ერთმანეთს აცნობენ.



საქონელი და მომსახურება



განვრცობა/დაკავშირება:

გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს:

1. მოსწავლეებს ვთხოვთ დაწერონ გაცვლის საკუთარი გამოცდილების შესახებ და დაასურათონ ნამუშევარი.
2. დახატონ საქონლის 3 და მომსახურების 3 მაგალითი.
3. დავურიგოთ ნივთები (მაგ., ფანქარი, საშლელი, ქაღალდისაგან დამზადებული სათამაშოები და სხვ.) და ვთხოვოთ სასურველი ნივთის "მოპოვება" ბარტერის საშუალებით. ვთხოვოთ ჩაწერონ გარიგებათა რაოდენობა.

დანართი:

სავარჯიშო № 1. ზღაპარი რწყილი და ჭიანჭველა ორიგინალური ვერსია.

სავარჯიშო № 2 ზღაპარი რწყილი და ჭიანჭველა შეცვლილი ვერსია.

მთხრობელი: რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ. დაადგნენ გზასა. გზაზე ერთი რუ შეხვდათ. რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

რწყილი: მე გადავხტები და შენ რა გეშველებაო.

მთხრობელი: ჭიანჭველამ უპასუხა:

ჭიანჭველა: განა მე ვერ გადავხტებიო.

მთხრობელი: რწყილმა ისკუპა და გადახტა, ჭიანჭველამ ისკუპა და წყალში ჩავარდა. მაშინ კი სთხოვა მეგობარს:

ჭიანჭველა: ნუ დამახრჩობ, მიშველეო.

მთხრობელი: რწყილი ახტა დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

რწყილი: ღორო, მომეც ჯაგარი, დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

მთხრობელი: ღორმა უპასუხა:

ღორი: ჩემი ჯაგარი 5 ლარი ღირს, გადამიხადე ეს თანხა და მოგცემ შენი მეგობრისთვის საჭირო ჯაგარს.

მთხრობელი: რწყილმა მისცა ღორს 5 ლარი, იყიდა ჯაგარი, დაგრიხა თოკი, ჩაუგდო მეგობარს რუში და გადაარჩინა ჭიანჭველა.

ამრიგად, შესაძლებელია ნაცნობი მასალა შესასწავლი თემისადმი მოსწავლეთა ინტერესის გასაღვიძებლად გამოვიყენოთ. ინტერესი ის სტიმული იქნება, რომელიც სწავლას თვით მოსწავლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს გახდის. ის მომავალ სასწავლო საქმიანობაში მათ მუდმივ გააზრებულ ჩართულობას შეუწყობს ხელს. ინტერესი შემეცნებითი საქმიანობის გამოვლენის ის ფორმა იქნება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ საქმიანობის მიზნის გაცნობიერებას და ამით ხელს შეუწყობს სინამდვილის უფრო სრულყოფილ აღქმას.

მოსწავლეები ემოციურად (შეფასება) და გონებრივად (რაციონალური) მხოლოდ იმ ინფორმაციას გადაამუშავებენ, რომელიც მათ მოთხოვნილებებს პასუხობს. ამის შედეგად ბავშვს შემდგომი საქმიანობის იმპულსი უჩნდება. ინტერესი ერთ-ერთი ასეთი მუდმივი მოთხოვნილებაა, რომლის დაკმაყოფილებაზე ზრუნვა წარმატებული სწავლება/სწავლის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Branson, M. S., Quigley, C. N., (1998) The role of civic education, მოპოვებულია 2012 წლის 25 მაისს ვებ-გვერდიდან http://aladinrc.wrlc.org/bitstream/1961/581/1/branson-role-199809.pdf
2. Braslavsky, C., (2004) Educational challenges in the 21st century, 47th International Conference on Education, UNESCO, Geneva.
3. dekarte, r., (1989) რჩეული ნაშრომები (რუსულ ენაზე), ტ. 1.
4. Ganina, M., (1989), While alive I hope, Essay collection, 'Sovremenik' (in Russian).
5. Ilin, E., (2001), Emotions and feeling, 'Piter', (in Russian).
6. Kant, I., (1999) Anthropology from a pragmatic point of view, (in Russian), Nauka.
7. Mahovskaya, O., In the article of Rubinova E., (2010) Evolution of the Homo Sovieticus retrieved from http://en.rian.ru/analysis/20100706/159709502.html
8. Rubinova, E., (2010) Evolution of the Homo Sovieticus, mopovebulia 2012 wlis 5 aprils veb-gverdidan http://en.rian.ru/analysis/20100706/159709502.html.
9. უზნაძე, დ., (2005) პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 2005.
10. უზნაძე, დ., განწყობის ფსიქოლოგია, თბ. 2009.
11. Ushinsky K., (1990) Pedagogical essays, V. 5, Moscow, 'Pedagogy'.
12. Crittenden, J., Civic education, (December 27, 2007) Stanford Encyclopedia of Philosophy, mopovebulia 2012 wlis 20 marts veb-gverdidan http://plato.stanford.edu/entries/civic-education/#GooCit
13. Key competences for lifelong learning European reference framework, European Communities, (2007), mopovebulia 2012 wlis 25 maiss veb-gverdidan http://ec.europa.eu/dgs/education_culture/publ/pdf/ll-learning/keycomp_en.pdf
14. National Curriculum and Assessment Centre, (2011) მოპოვებულია 2012 წლის 17 იანვარს ვებ-გვერდიდან http://www.ncac.ge/index.php?m=854